სამშაბათი, 8 იანვარი 1902 წ.

გაზეთი ღირს:

თვე	მან.	კ.	თვე	მან.	კ.
12	10	—	6	6	—
11	9	50	5	5	50
10	8	75	4	4	75
9	8	—	3	3	50
8	7	25	2	2	75
7	6	50	1	1	50

ცალკე ნომერი—ერთი შაური.
„ივერიის“ ტელეფონი № 227.

ივერია

12
საქართველოს საისტორიო ... ტფილისი ... ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქცია
ნიკოლოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
გაზეთის დასაბარებლად
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც.
საზოგადოების კანცელარიას.
ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 10 კაპ.
მეოთხეზედ—5 კაპ.

ექვთიმე ხელაძის სტამბის „ტელეფონი“ № 838

„ივერია“

გამოვა 1902 წელს
(დაარსებიდგან მე-25 წელიწადს)

გადიდებულის ფორმატისა

იმავე პროგრამით, როგორც წინად

თან-და-თანობითმა ზრდამ მკითხველთა მოთხოვნილებისამ და იმ გარემოებამ, რომ პატარა ფორმატი გაზეთისა ნებას არ გვაძლევდა საჭირო საგნებისა და საზოგადო საკითხებისათვის ჯეროვანი ადგილი დაგვეთმო ხოლმე,—გვაიძულა გაგვედიდებინა გაზეთი და გაგვეხადა ახლანდელის ზომისა. ჩვენს გაზეთს ამ რიგად მოემატა ნახევარი იმისა, რაც აქამდე იყო.

ფასი გაზეთისა ისევ თუმანია.

ფასის გადახდა ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება: 5 მან. ახლავე, 5 მან. მაისის გასულს.

გაზეთის დასაბარებლად უნდა მიჰმართონ:

ტფილისში—„ივერიის“ რედაქციას (ნიკოლოზ. ქუჩა, № 21).

ქ. შ. წერა-კითხვის გამავრც. საზოგად. წიგნის მაღაზიას (**სასახლის ქ., თავად-აზნაურობ. ქარვ.**)

ქუთაისში—ბეჟანეიშვილის წიგნის მაღაზიას

ბაქოში—ხიდდეკელის წიგნის მაღაზიას (**ნიკოლოზ. ქ. ქალანთარის ქარვასლის პირ-და-პირ**).

ტელეფონი № 227.

საფოსტო ადრესი: ТИФЛИСЪ. Редакція „Иверія“.

ქართული თეატრი

ხუთშაბათს 10 იანვარს 1902 წ.

ქართულის დრამატიულის საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება

ნ. მ. გაბუნია-ცაგარლის საბენეფისოდ

ვ. ა. აბაშიძის მონაწილეობით

კიდევ ერთი მსხვერპლი

კომედია 5 მოქმედ. გ. სუნდუკიანცისა.

მონაწილეობას, იღებენ: ქ-ნნი გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, ლეჟავა. ბ-ნნი: აბაშიძე, გამყრელიძე. ვედევანოვი, სვიმონიძე, შათირიშვილი, ურუშაძე. და სხვანი.

დასაწყისი 8 საათზედ. ფასები ჩვეულებრივია

რეჟისორი ვ. გუნია.

მზადდება წარმოსადგენად „სტუმარი (')ყვე“.

---

13 იანვარს ამა წლისა, დილის ათ საათზედ, ქ. ოზურგეთში, ამხანაგობის კანტორაში, დანიშნულია არა ჩვეულებრივი საზოგადო კრება **გურიის ამხანაგობის „შუამავლის“** წევრთა.

განსახილველია შემდეგი კითხვები:

1) არჩევა გამგეობის წევრთა ნაცვლად იმ პირებისა, რომლებმაც ეს თანამდებობა არ მიიღეს, თანახმად უკანასკნელის არჩევანებისა.

2) განხილვა იმ კითხვებისა, რომლებიც 16 დეკემბერს 1901 წლის წლიურს კრებაზედ განუხილველნი დარჩნენ.

ფირმის უფროსი ს. ქეიშვილი.

(3—6.—1).

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველდღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი: 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი. დილის 11—12 საათ. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

ქ. ი. გძელიშვილი. 12—1 საათ. ყურისა, ყელისა, ცხვირის ავადმყოფობისა.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—1½ ს. შინაგანისა და ბავშვებისა.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეკოვი. 5—6 ს. საქირურგო და კანისა.

ა. ნ. შპაკოვსკი. 6—7 ს. ნერვებისა (ელექტრო-ტერაპია), შინაგანი და ვენერიულ ავადმყოფობათა.

ვ. ა. თარხანოვი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—7½ ს.

ბ. ა. ნავასარდიანი. 7½—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ, ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана
Тифлисъ, против. памят. Воронцову.

ტფილისის კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფთათვის კრაოტები (ერთი უფასოა).

კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე.

მიხეილ გედევანიშვილი—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით, 9—10 საათ.

ე. გ. ფიდოროვი. შინაგან და ბავშვებისა 9—10 ს.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგან; სამშაბათობით და ხუთშაბათობით, 10—11 საათ.

ნ. ა. მულინი. ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 ს.

ი. პ. ახალშენიშვილი. კბილის სნეულებანი. 10—12 საათ.

ქ. მ. ელიოზიშვილი. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობათა. 11—12ს.

ექიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე. ბავშვებისა. 11—12 ს.

დ. ა. გედევანიშვილი. ნერვებისა და შინაგანი. 12—1 ს.

ა. გ. ბარსუკოვი. დედათა სნეულებანი, ორშაბათობით. ოთხშაბათობით და პარასკეობით 12—1 საათ.

სტ. ა. ვოინო. ხირურგია. ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით 1—2 საათ.

ი. დ. ბეგთაბეგოვი. სიფილისისა, კანისს და საშარდესი, 1½—2 ს.

საღამოთი:

ი. ნ თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი. 5—6 საათ.

ა. გ. მაღალაშვილი.—შინაგან და ბავშვებისა. 5—6 საათ.

(იხ. № 274 დეკ. 1901 წ.).

ქების ფურცლებით:

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშნით.

კვირაობით:

გ. გ. მაღალაშვილი.—10—12 ს. შინაგან ამადმყოფობათა.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ. ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

იაკობ ზაქარიას ძე გძელიშვილი

ექიმი

სწამლობს სიფილისს და შინაგან სნეულებას. ავადმყოფებს იღებს დილით 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7 ს. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85.

(142—242—17).

ჩვენის ცხოვრების ევოლიუცია.

(წერილი პირველი)

გაკვრით უკვე მოვიხსენეთ, რომ ფეოდალური წყობილება თავის თავად დაირღვა, როცა საქართველოს თვით-არსებობა მოისპო. ეს სოციალურ ევოლიუციის პირველი „ეტაპი“ იყო. ძველ მეფის, სიუზერენის ტახტი თვით-მპყრობელ იმპერატორმა დაიპყრა, საქართველო განუსაზღვრელ იმპერიის სრულ პროვინციად შეიქმნა და ამის გამო ძველი ფეოდალი უბრალო ქვეშევრდომად გარდაიქცა, თუმცა წინად მეფის **ვასალად** ითვლებოდა. დაარსდა თუ არა რუსეთის გამგეობა, მაშინვე სისხლის დენაც ჩინებისა „მათისაებრ“ შესწყდა და ვახტანგ.-ს სისხლის სამართალი გაუქმდა. თავადს მოკლავდით თუ გლეხს, სულ ერთი იყო,— ერთნაირად სჯიდნენ ყველა წოდებისა და წყობის კაცს. მართალია, პირველ წლებში ძველი ფეოდალური კლასიფიკაცია ისევ დარჩა, მაგრამ პრაქტიკული მნიშვნელობა დაჰკარგა. რად ანუ ვისთვის იყო საჭირო, მაგალითებრ, ცალიერი **დიდებულება**, როცა **დიდებულს** მარტო სახელი-ღა დარჩა.

რა-კი ძველი ვასალი ტახტის ყმად გარდაიქცა, ფეოდიც eo ipso შეიცვალა. როგორც ვუჩვენეთ, უწინ, საქართველოს თვით-არსებობის დროს, ფეოდი დამოუკიდებელ ადმინისტრატიულს და იურიდიულს ერთეულს წარმოადგენდა და მისი პატრონი—ფეოდალი თითქმის ისეთისავე ძალით იყო აღჭურვილი, როგორც სიუზერენი. ფეოდს ყველაფერი საკუთარი ჰქონდა: ჯარი, სამართალი, გამგეობა, ფინანსიური წყობილება, საბაჟო წესდება... 1802 წლიდგან-კი ყოველივე ეს მოიშალა, ვინაიდგან ყოვლად მბრძანებელი იმპერატორებითი ერთ-მპყრობელობა დაარსდა მთელ საქართველოში. რასაკვირველია, ფეოდმა პოლიტიკური ხასიათი დაჰკარგა და უბრალო მამულად გარდაიქცა. წინად თავისს ვასალს სიუზერენი ფეოდს უბოძებდა ხოლმე ერთგულ სამსახურისათვის. თუ ფეოდალი ამ სამსახურს არ ასრულებდა, ფეოდს მეფე უკანვე ართმევდა, რასაკვირველია, უკეთუ მეფეს ძალა შესწევდა. გარდა ამისა, ფეოდი გვარში ტრიალებდა. იმისი სიგელით განახლებაც ჟამითი-ჟამად ხომ საჭირო იყო. ახლა კი ფეოდი მხოლოდ უბრალო კერძო საკუთრებად შეიქმნა. მისი დარღვევა და დაშლაც დაიწყო. ასეც უნდა მომხდარიყო,—რადგანაც ფეოდალობას პოლიტიკური საფუძველი გამოეცალა და იურიდიული სისხლის დენა შეჩერდა. ფეოდს ეკონომიური სახეც შეეცვალა. საამილახვრო, საორბელიანო და სხვა ფეოდი ამოძრავდა და ერთის გვარიდგან მეორეში დენა დაიწყო, სყიდვისა და გასყიდვის საგნად გარდაიქცა.

ცხადია, თუ რა ღრმა და ვრცელი სოციალური ევოლიუცია მოხდა პირველსავე ხანს, როცა რუსეთის გამგეობა დაარსდა. ამ გამგეობამ ფეოდალობა ძირიან-ფესვიანად ამოაგდო და გზა გაუკაფა სხვა გვარ საზოგადოებრივს ცხოვრებას.—ფეოდალობის ადგილას ჩაისახა და ნელ-ნელა აღიზარდა ახალი მოქალაქობრივი წყობილება, რომელმაც ერი ერთობისა და თანასწორობის გზაზედ შეაყენა და ახალი სოციალური მერმისი დაუსახა. წოდებრივი კლასიფიკაცია, მართალია, ისევ დარჩა, მაგრამ ერთისა და იმავე წოდების სამ წყობად გაყოფა მოისპო, ვინაიდგან მისი არსებობის საბუთი—სისხლის დენა—შესწყდა. დიდებულის, შუა თავადის და მესამე თავადის მაგიერ ერთის სახის თავადი-ღა დარჩა. ასე მოხდა სხვა წოდებაშიაც. ძველს და მეტად რთულს სოციალურს უთანასწორობას ბოლო მოეღო და სოციალურს ერთობას საძირკველი ჩაედგა. მამულსაც ძირითადი ცვლილება დაეტყო. მამულმა ძველი პოლიტიკური და იურიდიული მნიშვნელობა დაჰკარგა პირველი საევოლიუციო ხანა გაგრძელდა ბატონ-ყმობის მოსპობამდე. ამ დროს განმავლობაში უფრო ძველი დაირღვა, ვიდრე ახალი აშენდა. ყმების განთავისუფლებიდგან იწყება ევოლიუციის მეორე „ეტაპი“. ფეოდალობის ერთს დედა-ბოძს ბატონ-ყმობა შეადგენდა და ვიდრე ეს დედა-ბოძი არ ამოვარდებოდა, ძველ სოციალურს წყობილებასაც ანდერძი ვერ

ფელეტონი

თუშური ლექსი

(ჩაწერილი ივ. ბუქურაშვილისმიერ)

რამ აგაშენა, წოვათავ,[1]
ემაგრე ბედიანიო,
სათქმოთ გასულხარ ხმელეთსა
შეომარ თუ გჟავ ავიო?..
გამრავლებულა ინდურთა[2]
საქონლითა და ხალხითა,
გადმა-გამოღმა ციხებს
ლიბო[3] უდგიათ რკინისა.
ხატიც დიდი ჰყავს—სამება,
გამარჯვებული უფლითა;
ტანზე ჩაუცვამ ჯეფთარი,
მორთული იარაღითა;
არ გამილახოს მტერმანა
მუდამ წინ უძღვის ემსათ.
მაცნა[4] მოვიდა დაღისტნით,
შეურას ამბობენ ჯარსათ:
წავიდეთ, გადავიაროთ,
წოვათას დავცეთ ცანიო,
დავლა ხომ ბევრი გვექნება,
სოფლებ მოვსთხაროთ ძირითა,
ნება ხომ ჩვენი იქნება,
ხელით გარწიოთ ქალები...
ზოგნი უშლიან: ნუ წახვალთ,
შეომარი ჰყავთ მრავალი,
სოფელში შესვლა ძნელია,
მუჭით უურიათ წამალი.
სოფლის თავს სამი ციხეა,
გადავან ავლავ მაგარი,
გამოღმით, მინდის ციხეო,
ტანთ თუ ჩაგაცვეს აბჯარი.
არ დაიშალა ბედადმა
წინ გამოუძღვა გზაზედა,
დიდგვერდი[5] გადმოიარეს,
გადმოვ(ა) ალაზნის თავზედა.
სამშაბათ საგათენებლოდ
ინდურთას დასცეს ცანიო,
ინდურთის გაღმით ჩამოდგა
დიდ ბუსურბნისა ჯარიო.
გაიგეს ინდურთელებმა,
აისხეს იარაღიო;
გამოღმით მინდის ციხეო,
ჯერ შენა გიყვეს ძალიო,
სოფლის თავს სამო ციხეო,
მემრ შენ დაგხვდეს ალიო.
ომი ასტეხეს უწყალო,
ატირებულა მთანიო...
თოფის ალი სდგას ინდურთას,
ჩამოქცეულა მთანიო.
ციხიდან გამოჰქვიოდან
ახლები ინდურთისათ:
ხმლით გადავიდეთ ჯარშია,
დრო მოგვივიდა ცდისათ.
ვინც კაცი არის, გამოჩნდეს,
სისხლით დაიბანს პირსათ;
ბევრი კაცია ქალური,
კვეხულობს ბიჭობასათ!..
გამოდიანა ციხიდან,
ქალნო, გაგვიღეთ კარნიო;
ინდურთის არე მარეში
დამდგარა სისხლის ტბანიო.
ერთმანეთისა ჯიბრზედა
ბევრმა მოიკლა თავიო,
სისხლის სულისგან ითვრება,
ინდურთის შეომარიო.
გაწყვიტეს დაღესტნის ჯარი,
მოაშბეთ დარჩა სამიო;
სამსავე დასჭრეს ხელები,
გაგზავნეს დაღესტანსათ:
წადით დაღესტანს უამბეთ
დახვედრა წოათისათ,
როგორიც სეირი ნახეთ
დახვედრა ახლებისათ...
მე მაგის მოდექსებელი
ინდურთის გაღმით გარიო,
სეირი დადი ვიხილე,
მეტათ არს შესაზარიო;
წოვათის მონახირე ვარ,
ჩაღმა ვარ გომეწრელიო“.[6]

---

[1] წოვათა—თემია თუშებისა.
[2] ინდურთა—სოფელია წოვათაში.
[3] ლიბო—საძირკველი.
[4] მაცნა—შიკრიკი.
[5] დიდ გვერდი—მთის სახელია.
[6] ჩაღმა გომეწარი—თემია თუშეთში.

ლიტერატურა და მეცნიერება გერმანელებისა 1901 წელს.

სიამოვნებით შეიტყეს გერმანელებმა, რომ სამივე ჯილდო ნობელისა, დაარსებული სამეცნიერო გამოკვლევათათვის, შვეციის სამეცნიერო აკადემიამ გერმანელ მსწავლულებს მიუსაჯა. თუ სამივენი გერმანელები არ არიან ჩამომავლობით, გერმანიის უნივერსიტეტების პროფესორები მაინც არიან. მხოლოდ ერთია მათ შორის, სახელდობრ ფანტ-გოფი, ჰოლანდიელი და ისიც დიდი ხანია, ბერლინის უნივერსიტეტის პროფესორად იმყოფება. დანარჩენი ორნი, პროფ. რენტგენი, ცნობილის სხივების აღმომჩენი და ბერინგი, აღმომჩენი ყელ-ჭირევების საწინააღმდეგო შრატისა ნამდვილი გერმანელები არიან.

ეს ახალი სამეცნიერო გამარჯვება დიდად თავ-მოსაწონებელია გერმანელებისათვის, მით უმეტეს რომ ეგ გამარჯვება შეიმოსეს იმ მეცნიერებაში, რომელსაც ცხოვრებაში გამოსაყენებელს მეცნიერებას უწოდებენ და არა განყენებულსა და ურომელო მეცნიერებაში, როგორიც არის ფილოსოფია, მეტაფიზიკა და სხვა ამ გვარი მეცნიერება, რომელშიაც გერმანელები დიდი ხანია, თუ პირველნი არა, არც უკანასკნელნი არიან პირველთა შორის.

50 წლის წინად, როცა გერმანელების უნივერსიტეტებში ჯერ ისევ მეტაფიზიკა ჰყვაოდა, უცხოელნი ჰგონებდნენ, რომ გერმანელებს ცხოვრებაში გამოსაყენებელ მეცნიერების ნიჭი არა აქვთო, მაგრამ აი მისუსტდა ბოლოს ფარფაში მეტაფიზიკისა და რომანტიზმისა, გამოჩნდა დარვინი, ბიუხნერი, ჰარტმანი და ჰელმგოლცი და გერმანელებიც დიდის თავ-გამოდებით შეუდგნენ საბუნებისმეტყველო და სატეხნიკო მეცნიერების განვითარებას. ყოველგვარმა მრეწველობამ, ელექტრო-ტეხნიკამ და ხომალდთ-შენებამ და სხვა ამ გვარმა საქმემ, რომელიც ამ უკანასკნელ 20 წლის განმავლობაში აღორძინეს გერმანელებმა და საოცრად აღაყვავეს, ერთ უზარმაზარ სახელოსნოდ გარდაჰქმნა გერმანია და ამიტომაც საკვირველი არ არის, რომ ეს გარდაქმნა ბევრს საშიში ჰგონია, ვაი თუ ერის იდეალურს მისწრაფებას, ერის სულიერ აღმაფრენას ფრთა შეეკვეცოს და განელდეს, ჩაჰქრეს კეთილშობილ გრძნობათა ცეცხლიო.

არა ერთხელ აღუმაღლებიათ უკვე ხმა და დაუწყიათ ჩივილი მწერლობაში, რომ უკეთესნი და უნიჭიერესნი კაცნი ეტანებიან ნივთიერის წარმოების სფერასაო და რომ ვითომ თხელდება რაზმი იდეალით გატაცებულ მუშაკთა ლიტერატურისა და ხელოვნების ასპარეზზეო. მაგრამ არა გვგონია, რომ ეს ჩივილი საფუძვლიანი იყოს, რადგან გერმანელების სიტყვა-კაზმული მწერლობა ისე არას დროს არა ყოფილა გაცხოველებული, როგორც ახლა, ხოლო ის მეცნიერებანი, რომელსაც წმინდა ნივთიერი ხასიათი არა აქვს, არამედ უფრო სამაღალ-ზნეო საგნებს ეტანება, აგრეთვე არა დროს ისეთის გულ-დადებითა და გულ-დასმით არ წარემატებოდა, როგორც ამ ჟამად.

მაშ, სად არის ნაყოფი წარმატებისა, სად არის დიდებულნი ქმნილებანი ჩვენის დროისა? ვინც ამას იკითხავს, იმას პასუხად უნდა ვსთქვათ, რომ ამ ბოლოს წლებში თითქმის სულ არ გაჩენილა დიდებული სალიტერატურო თხზულებანი, მაგრამ სამაგიეროდ ძლიერ ბევრი დაიბადა შუათანა ღირსებისა და ამ ბევრში უფრო მეტია აზრი და გრძნობა, ვიდრე წარსულ დროთა რამდენსამე გენიოსობით აღბეჭდილ ქმნილებაში.

დიდებული პოეტები დიდი ხანია აღარ არიან. აღარც ამ ბოლოს დროს დაბადებულან ასეთი პოეტები. წარსულ საუკუნის მიწურულებში ევროპის კულტურზედ დიდი გავლენა ჰქონდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებას, სურვილსა და მეცადინეობას ცხოვრების სურათის ნამდვილად აღბეჭდვას, ფსიხოლოგიურს თვით-შესწავლებას და საზოგადოების კრიტიკას. დასავლეთ-ევროპის სული და გული ისეთს გუნებაზედ იყო, რომ უფრო ანალიზსა და კრიტიკას ეტანებოდა, დამძიმებული იყო მატერიალიზმით და ამიტომ პოეზიას მტრულად ექცეოდა, თითქო ერიდებოდა. თუ ზოლამ, იბსენმა, ბიორსონმა, ტოლსტოიმ და ჰაუპტმანმა, დიდი სახელი მოიხვეჭეს, დიდი ალტაცება გამოიწვიეს, ეგ იმიტომ რომ

ეეგებოდა. ბატონ-ყმობის გადავარდნამ თითქმის სრულიად აღმოფხვრა ის სოციალური უთანასწორობა, რომელიც ფეოდალობის არსებითს თვისებას შეადგენდა. კაცის პიროვნება და შრომა თავისუფალი შეიქნა, სამართლის წინაშე ყველანი თანასწორნი გახდნენ, წოდებრივი უპირატესობა იქამდე შემცირდა, რომ თავადის ღირსება თითქმის ცალიერ სიტყვად გარდაიქცა. ამ გარემოებამ უფრო მეტად შესცვალა წოდებრივი კლასიფიკაცია. წარსულ საუკუნის პირველ ნახევარში თუ ერთის სახის **თავადი** და ერთის სახის **აზნაური** წარმოსდგა სამ ხარისხოვან თავადისა და აზნაურისგან, ახლა, ბატონ-ყმობის შემდეგ, თავადი და აზნაური ერთმანეთში აირივნენ და ბევრში გათანასწორდნენ. ახლა უწინდელს დიდებულს, შუა თავადს, მესამე თავადს აღარც-კი ახსოვს თავისი წარსული სოციალური ვინაობა. ეგეთი თვისი ვინაობა არ ახსოვს აზნაურსაც. ზოგი თავადი ქვემოდ დაეშვა, ზოგმა აზნაური კიდევ ზემოდ აიწია. საქმე იქამდე მივიდა, რომ სისხლის დენა ახლა მეხსიერებიდანაც-კი აღმოიფხვრა და თავად-აზნაურობის ენაზედ იგი აღარც-კი იხმარება. დიალ, თავადნი და აზნაურნი თანასწორობის გზაზედ დადგნენ. ძველად ფეოდალური პრინციპი ოჯახშიაც მკაცრად ბრძანებლობდა,— ყველას თავისის „სისხლისა“ და „ჩინების“ ცოლი უნდა მოეყვანა. ახლა თავადისა და აზნაურის სისხლი ერთმანეთს შეერია და სოციალურს შერევას ფიზიოლოგიურიც ზედ დაერთო. ყოველივე ეს ცხადად ამტკიცებს, რომ ევოლიუციამ სრულიად მუსრი გაავლო ძველს სოციალურ კლასიფიკაციას და თითქმის შთანთქა ის ფეოდალური ჩატამალიც-კი, რომელიც ბატონ-ყმობამდე კიდევ არსებობდა. ჯერ არ გამორკვეულა ახალი კლასი, რომელიც თავადისა და აზნაურის შეერთებულ ტიპის გამომხატველი უნდა იყვეს, მაგრამ ეჭვს გარეშე კია, რომ იგი კლასი უფრო სოციალურის თანასწორობის კლასი იქნება. მთელი ჩვენი ახალი ისტორია ამ თანასწორობისკენ მიაქანებს ქართველ თავადსა და აზნაურს და სწორედ ამაშია ღრმა აზრი აწინდელ ცხოვრებისა.

ნ. ურბნელი.

ახალი ამბავი

⁂ გუშინ-წინ, იანვრის 6, ნათლისღება დღეს, წმ. ნიკოლოოზის სამხედრო საკრებულო ტაძარში მწირველი ბრძანდებოდა საქართველოს ახალი ეგზარხოსი ალექსი. 11 საათზედ აქ მობრძანდნენ სიონის საკრებულო ტაძრიდგან ყოვლად-სამღვდელო კირიონი ქალაქის სამღვდელოებითურთ და ალექსანდრე ნეველის სამხედრო საკრებულო ტაძრიდგან სამხედრო სამღვდელოება. წირვის შემდეგ ეგზარხოსი ალექსი, სხვა ყოვლად-სამღვდელო კირიონითა სამღვდელოებითურთ ლიტანიით წაბრძანდა მადათოვის კუნძულზედ, მტკვრის პირად, სადაც ჩვეულებისამებრ გამართული იყო იორდანე. წყალ-კურთხევას დაესწრნენ ბ-ნი მთავარ-მმართებელი, თ-დი გოლიცინი, მისი თანაშემწე ფრეზე, გუბერნატორი სვეჩინი და სხ. უმაღლეს თანამდებობის პირნი და დიდ-ძალი ხალხი.

ჯვრის წყალში ჩასვენებისათანავე ჰაერში აშვებულ იქმნა შუშხუნა ამ დროს არსენალიდგან მოისმა ზარბაზნის გრიალი და ოცდა-ათიოდე ცხენოსანი და მცურავნი ცხენებითა და ცურვით გავიდნენ მტკვრის მარცხენა ნაპირიდგან მარჯვენაზე.

⁂ გუშინ, 7 იანვარს, დილის ათ საათზედ, რკინის გზის უფროსი განსვენებული, ე. ლ. ველენეევი გამოასვენეს თავის სახლიდგან წმ. ალექსანდრე ნეველის ეკკლესიაში, სადაც გადუხადეს წირვა და პანაშვიდი. ეკლესიიდგან მიასვენეს რკინის გზის სადგურზედ და მეოთხე ნომრის მატარებლით პეტერბურგში წაიღეს დასაკრძალავად. განსვენებაზედ დაესწრნენ: მთავარ-მმართებლის თანაშემწე ფრეზე, გუბერნატორი სვეჩინი, ფოსტა-ტელეგრაფის უფროსი და რკინის გზის თითქმის ყველა უფროსი მოხელეები. კუბოს ამკობდა ოცდა-თხუთმეტამდე გვირგვინი, უმეტესად რკინის გზის უფროს მოსამსახურეთა და ნაცნობთაგან.

⁂ წარსულ კვირის იაფ-ფასიან წარმოდგენას ქართულ თეატრში მეტად დიდ-ძალი ხალხი მიაწყდა. ბილეთები სულ ერთიანად გაიყიდა. ბევრი უადგილობისა გამო უკანაც დაბრუნდა. წარმოდგენამ საზოგადოდ კარგად ჩაიარა. საზოგადოება ხანგრძლივის ტაშის-ცემით აჯილდოვებდა მოთამაშეთ.

⁂ იანვრის 7-დგან მ. გედევანიშვილის სამკურნალოში შემოიღეს ღამით მორიგეობა ექიმებისა (საღამოს 9 საათიდგან დილის 7 საათამდე). მორიგი ექიმები შემწეობას აღმოუჩენენ სნეულებს როგორც სამკურნალოში ისე სახლშიც.

⁂ გუშინ ტფილისის კრუჟოკში სათავად-აზნაურო სკოლის სასარგებლოდ გამართულ „მეჯლისს“ (ბალს) საზოგადოება საკმაოდ დაესწრო და თვით მეჯლისმაც ცოცხლად ჩაიარა.

⁂ ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო ინსპექტორს შეუდგენია ტფილისის სასანიტარო დაწესებულებათა ისტორია და ქალაქის აწინდელ სანიტარულ მდგომარეობის აღწერა. ეს შრომა ამ ჟამად იბეჭდება და მალეც გამოვა გასასყიდად. სასურველია, რომ ავტორს არ გამორჩებოდეს კუკიის ხიდს ქვეშ, გრანდოტელის სასტუმროსთან ნაგვის ამოვსებულის მტკვრის ტოტის ანტი-სანიტარული მდგომარეობაც...

⁂ ტფილისში გუბერნატორის ნება-რთვით დაარსდება კიდევ სამი ახალი აფთიაქი: ერთი მეათე უბანში, ავჭალის ქუჩაზე, მეორე—მეხუთე უბანში, ირაკლის ქუჩაზე და მესამე-კი მერვე უბანში, რიყის ქუჩაზე. ამ აფთიაქების გაღების უფლება მიეცათ პროვიზორებს იაკუბოვიჩს, ბაზიეროვს და კრეისბერგს.

⁂ პატივცემულნი ეკ. მესხი და ანასტასია წერეთლისა გვთხოვენ გამოვაცხადოთ, რომ 1901 წ. ნოემბრის 11-ს წერა-კითხვის საზოგადოების უფასო სამკითხველოების სასარგებლოდ ვეტცელის დარბაზში გამართულის წარმოდგენიდგან შემოსულა ბილეთების გაყიდვით 403 მ. 3 კაპ., საჩუქრად (პრემიად) სხვა-და-სხვა პირებისაგან 46 მან. 30 კ., სულ 449 მან. 33 კ.

დახარჯულა: მარკებისათვის 19 მ. 83 კაპ., თეატრის ქირა, განათება, სკამების ქირა, პარიკმახერი და დეკორაცია 81 მან. 60 კაპ. ფორტეპიანოს დამკვრელი და წვრილმანი 25 მან. 85 კაპ.

სულ დახარჯულა 127 მან. 28 კაპ. წმინდა შემოსავალი ყოფილა 322 მან. და 5 კაპ. წარმოდგენის მეთაურნი დიდ მადლობას უძღვნიან როგორც იმათ, ვინც მონაწილეობა მიიღო წარმოდგენაში, აგრეთვე საზოგადოებას, რომელიც თავისის წვლილით დაეხმარა მათ.

⁂ ამ დღეებში ჩაბარდათ უწყებები ყველა სახლის პატრონებს და ხელი მოაწერინეს მეეზოეთა დაყენებაზედ.

⁂ მოგვყავს საინტერესო ცნობები: წარსულის წლის დეკემბერს ტფილისში მომხდარა: ქურდობა 27-ჯერ, ქურდები დაუჭერიათ 4-ჯერა, უეცრად გარდაცვლილა 4 ადამიანი, მკვლელობა მომხდარა 5-ჯერ, 1 ქალი გაუუპატიურებიათ, 2-ს თავი მოუკლავს, 1 ქურდობა განუზრახავს და ვერ შეუსრულებია, მეეტლესაგან გაუფრთხილებლად ეტლის ტარება ყოფილა—1 ჯერ, ცეცხლი გაჩენილა 7-ჯერ, ცემისაგან მომკვდარა—1, ბავშვები მიუგდიათ 8, გაძარცვა მომხდარა 2-ჯერ, ნაქურდალი საქონელი გაუყიდნიათ 2-ჯერ, ნამალევად გამოხდილი ვოდკა გაუყიდნიათ 1-ჯერ და უბედური შემთხვევა ყოფილა 3-ი.

⁂ სოფ. ვასილევკიდამ გვატყობინებენ, რომ იქ 1 იანვარს საღამოთი ჩხუბი მოუვიდათ იქაურს მცხოვრებ გიორგი ლაჩინოვს და სპარსეთის ქვეშევრდომს ივანე ოსიპოვს. ამ უკანასკნელმა პირველი ხანჯლით ორგან მძიმედ დასჭრა... ლაჩინოვი მალე გარდაიცვალა. ოსეფოვი გადასცეს გამომძიებელს.

⁂ წარსულის წლის დეკემბრის 23-ს საბოლოვოდ გაუქმებულ იქმნა ბაქოს ფოსტა-ტელეგრაფის ცალკე ოლქის სამმართველო და ყველა საფოსტო და სატელეგრაფო დაწესებულებანი ბაქოსა და განჯის გუბერნიებისა გადაეცა ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ოლქს რომლის მმართველმა, ბ-ნმა ლინდენმა ჩაიბარა კიდეც ხსენებული დაწესებულებანი.

⁂ ამიერ-კავკასიის რკინის გზებზე სათანადო მთავრობას ბრძანება გამოუცია, რომ ავადმყოფთა და ბინძურად ჩაცმულ მგზავრთათვის ცალკე ვაგონები იქონიონ ყოველს მატარებელში და ნება არ მისცენ მათ სხვა მგზავრებთან ერთად ჩასხდომისა.

⁂ წუხელ 7 იანვარს ქალაქის საბჭომ ამოარჩია გამგეობის წევრად ისევ ხოსროევი.

იმერეთის ამბები.

⁂ **ბათომი.** წავიკითხეთ „ჩერნომ. ვესტნიკის“ №№ 4 და 5, გამოსულნი თ-დის ივ. ზაქ. ანდრონიკაშვილის ქალაქის თავად არჩევის შემდეგ. ამ არჩევანის გამო ბ-ნმა პალმა სთქვა ის, რაც მ..სგან მოსალოდნელი იყო, მხოლოდ მოკლედ, არა ჩვეულებრივის მრავალ სიტყვაობით...

№ 4-ში ის ამბობს: „გუშინ (იანვრის 4-ს) საბჭოს საგანგებო სხდომაზე კენჭი იყარა ქალაქის თაობაზე აგრონომმა ანდრონიკოვმა, ტფილისელმა, რომელსაც ამოუვიდა 26 თეთრი და 3 შავი“.

№ 5-ში: „... თავსმჯდომარემ, საგუბერნიო საქალაქო საქმეთა საკრებულოს გარდაწყვეტილების თანახმად, წინადადება მისცა ხმოსნებს, აირჩიონ ქალაქის თავი. კენჭი იყარა მხოლოდ თ-მა ანდრონიკოვმა, აგრონომმა, წარსულ სასოფლო სამეურნეო გამოფენის კომისარმა. ანდრონიკოვმა მიიღო 26 თეთრი და 4 (თუ სამი?) შავი კენჭი. თ-დს ანდრონიკოვს ბათუმი სრულიად ვერ იცნობს და რა ნაირად გაჩნდა მისი კანდიდატურა, ესეც ჯერ-ჯერობით გამოურკვეველი რჩება“.

თუ ბ-ნს რედაქტორს, ლიუდოვიკო XVI-სა არ იყოს, ჰგონია, რომ ბათომის თავად ის არის, მაშინ გვესმის მისი ფრაზა „ბათომი ანდრონიკოს სრულიად ვერ იცნობსო“; ხოლო თუ ამ ზომის... თავდავიწყებამდე არ მისულა, იმ შემთხვევაში კი საკვირველია, რად აძლევს თავს ნებას ასეთის „წარმოუდგენელის“ მოსაზრების წარმოთქმისათვის. ვინდამ ამოირჩია, თუ ბ-ნს ანდრონიკოვს ვერავინ იცნობდა? ალბათ ყოფილან მცნობნიცა და დამფასებლებიც! საოცარიც იქნებოდა, რომ ეს ასე არ ყოფილიყო, რადგანაც, ბ-ნს ანდრონიკაშვილს, როგორც საქმის კაცს, იცნობს მთელი ამიერკავკასია...

შეცდომის გასწორება.

„ივერიის № 5-ში„ „იმერეთის ამბებში“ დაბეჭდილია: ›გუშინდელს სხდომაზე“ «რითი, რად» უნდა იყოს: «გუშინ წინდელ სხდომაზე»... «რითი, სად»..

„სადარბაზო საუბარი“:

«ანუ დედათა ასოციაცია» უნდა იყოს; «იდეათა ასოციაცია»

დაბა და სოფელი

ს. საგარეჯო. ჩვენში არსებობს ორ-კლასიანი სკოლა. საგარეჯო შეიძლება მეორე სოფლად ჩაითვალოს მთელ კახეთში თავისის სიმდიდრითა და მცხოვრებთა რაოდენობით, მაგრამ, საუბედუროდ, მუდამ კერძო კაცების სახრავ-საგლეჯად ყოფილა გამხდარი და ბევრმაც ჯიბე გაისქელა. გვიბრძანეთ, როგორ გავამტყუნოთ უსწავლელი გლეხები, თუ სხვისა შრომით ისარგებლებენ, როდესაც ნასწავლი ხალხი უარესს სჩადის...

ამ ორის კვირის წინედ სოფ. საგარეჯოში თავი მოიყარა სოფელმა და ჩიოდა, რომ მასწავლებლები ვერ იქცევიანო კარგად: წელიწადში ათს თუმანს ვიხდით, რომ ჩვენს ბავშვებსა და სკოლას მოსამსახურე ჰყავდეს; თავისს დროზედ დალაგებულ-დაწმენდილი იყოს საკლასო ოთახები, კასრით მუდამ წყალი ედგათ; ათს თუმანს ვიხდით წელიწადში, რომ ჩვენს შვილებს იმ ფულით შეშა უყიდონ და სითბოში იყვნენ, მუდამ წელიწადს ვიხდით თითო ბავშვზედ თითო მანეთს წიგნების ფულსა და სხ., მაგრამ არც ერთს ამ საჭიროებას ფული რიგზედ არა ჰხმარდებაო, და სხვა ამ გვარი საყვედურები ითქვა.

რამ აიძულა ამოდენა ხალხი, რომ სასოფლოდ უსაყვედურებენ თავიანთ მასწავლებლებს? როგორც ყრილობაზედ გამოირკვა, სოფელი თურმე მართალი ყოფილა: მოზრდილის მოსამსახურის მაგიერ, მასწავლებლებს უჭირავთ პატარა ღლაპი, წელიწადში თხუთმეტ მანეთიანი, რომელიც მასწავლებლების სახლობასაც ძლივს ემსახურება თურმე; საკლასო ოთახები მუდამ ანტისანიტარულს მდგომარეობაშია; წყალი არა აქვთ, რომ დალიონ და რუებზედ მირბიან დასალევად; შეშის ჭაჭანება არსად არის და სიცივეში არიან მოკრუნჩხულები საცოდავი დაგლეჯილ-დაბღლერძილი ბავშვები. ყველა მოსწავლეს თითო მანეთს ახდევინებენ ყოველ წელიწადს წიგნების შესაძენად, მაგრამ ხუთს ბავშვს თითო დაგლეჯილი წიგნი ძლივსა აქვს და სხ. ამისთანა საჩივარი ბევრი წარმოითქვა სასოფლო ყრილობაზედ, რასაც, ეჭვი არ არის, მასწავლებლებისადმი ნდობასა და სიყვარულს ვერაფერ თანხად გაუხდება... და ამის შემდეგ განა საყვედურის ღირსნი არ არიან ჩვენში ზოგიერთა სოფლის განმანათლებელნი? ადარე ის არის საკვირველი, რომ ამის გამოდ სხვა სოფლელები სკოლას ერიდებიან.

განო.

დ. წალენჯიხა (ზუგდიდის მაზრა). წალენჯიხის საბოქაულო სძევს, სწორედ იქ, სადაც თავდება მაზრა და იწყება აბხაზეთი და სვანეთი; შესდგება სულ 900 მოსახლე კაცისაგან. ორი წელიწადია მხოლოდ, რაც ჩვენს სოფელს ძლივს ერთი სამინისტრო სკოლა ეღირსა, მაგრამ ადგილობრივს მოთხოვნილებას იგი ჯერ-ჯერობით სრულებით ვერ აკმაყოფილებს. ქართული ენა წინად ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებთათვის რაღაც ჩინურს ენას წარმოადგენდა და ეს სამწუხარო მოვლენა უთუოდ დიდხანს გასტანდა კიდევ, რომ გულშემატკივარნი არ აღმოსჩენოდნენ. ამის გამო დაბა წალენჯიხაში ეხლა ხშირად შეხვდებით ქართულის მცოდნესა და იქა-იქ ქართულს გაზეთებსაც. არ შეიძლებოდა აგრეთვე მომავალ დედების სიბნელეს, მათს უნაყოფო სახლში ჯდომასა და ხეტიალს არ მიექცია ყურადღება ჩვენის ქართველის მანდილოსნებისა, რომლებიც აგერ ათი წელიწადია ჰფიქრობენ საბოქაულოს შუა გულში, დ. წალენჯიხაში დაეარსებინათ საქალებო სასწავლებელი, სადაც მოზარდ ბავშვებს შესძლებოდათ დედა-ენისა და ხელ საქმის შესწავლა. ამათ შორის თავისის გულ-მტკივნეულობითა და ქველ-მოქმედებით ყურადღებას იქცევდენ კნეინა ვარდოვნა დადიანისა, ლორთქიფანიძის ასული და თავ. ტ. ნ. დადიანი, რომლებმაც წმ. მოვალეობად მიიჩნიეს ადგილობრივს ქალებს შორის სწავლა-განათლება და შინა ხელოსაქმეობა-მეურნეობა: ჭრა-კერვა, ქარგვა, ქსოვა, ფრინველების მოვლა-მოშენება და მეაბრეშუმეობა გაავრცელონ. მართალია, ამ კეთილსა და სასარგებლო განზრახვას წინააღმდეგი არავინ უნდა გამოსჩენოდა, მაგრამ, წარმოიდგინეთ, დროებამ ბოროტი ჯერ კიდევ ვერ მოჰსპო და ჩვენს დალოცვილს კუთხეში შურიანებმა თავი იჩინეს, რომელთა შორისაც ზოგი მწიგნობარიც იყო...მაგრამ, ჩვენდა სასიხარულოდ, საქმეს კეთილნი დამცველნი გამოუჩნდნენ.—ბ-ნ თ. დ. ჟორდანია (გურია-სამეგრელოს ეპარქიის საეკლესიო სკოლების მეთვალ-ყურე) და მამა ბობოხიძე და შარშან აქ კნ. ვარდოვნა დადიანის თაოსნობით გარდასწყდა საქალებო სასწავლებლის

დროს შეუფერე'ს თვისი მოქმედობა, იმიტომ, რომ თვით დრო იყო მაგვარი და არა იმიტომ, რომ მათის ნაწერებით გამოირკვა და გადასწყდა ესა თუ ის პრობლემა. თვით პოეზიის ასამაღლებლად ამ მწერალთ მნიშვნელობა არა ჰქონდათ, იმიტომ რომ პოეზიის განვითარებას არაფრით არ შეუწყეს ხელი.

სიზოგადო ხასიათი ლიტერატურისა ამ უკანასკნელ ოცისა და ოც-და-ათის წლის განმავლობაში ასე შეიძლება განვმარტოთ: ყველგან საკმაოდ რიცხვ-მრავალი წრე შუათანა ნიჭის პოეტებისა განაგრძობდა ლირიკის შემუშავებას, ხოლო დიდის ნიჭის პატრონები იკვლევდნენ თავიანთ საზოგადოების სხვა-და-სხვა ავადმყოფობას და სწერდნენ ისეთს რომანებს, რომელშიაც პოეზია ან სულ არ იყო ან სულ მცირე ადგილი ეჭირა. ასე იყო გერმანიაში, ასე იყო ყველგან სხვაგანაც.

კრიტიკა და კრიტიკული სიფხიზლე, უფრო ჭკუა და გონება, ვიდრე გული და გრძნობა—აი ბეჭედი, რომელიც აზის ჩვენს დროსა! ამას უნდა დავსძინოთ დაუსრულებელი ძებნა ახალის ფორმისა, ძებნა-კი არა, უფრო ცდა, ახალი რამ ფორმა ვიპოვოთო. ამიტომაც უმეტესს ნაწილს ამ ლიტერატურის ნაწარმოებისას აკლია გულ-წრფელობა, პოეტური ალღო და აღფრთოვანება სულისა. ამას ჰგრძნობენ და ამბობენ არა მარტო გერმანიის საუკეთესო კრიტიკოსები, არამედ თვით მწერალნი, რომელნიც გამწარებით ეძებენ სულის აღმაფრთოვანებელს საგანსა და იდეას. ბევრმა მათგანმა ასეთ საგნად მიიჩნია შესწავლა თვისის სოფელ-დაბისა, საცა მისი დედულ-მამულია, და ყველამ ერთად შექმნეს ხელოვნება სამშობლო სოფლისა (Heimatskunst) ამ ხელოვნების შემწეობით სცდილობენ, მისცენ ლიტერატურას უფრო მეტი საეროვნო და საგლეხ-კაცო ელფერი.

ამ ახალის მიმართულების სათავეში სდგას ფრიც ლინგარტი, რედაქტორი ჟურნალისა Die Heimat (სამშობლო) და მის გარშემო არიან შემოკრებილნი გერმანიის სხვა-და-სხვა პროვინციის მწერალნი და ლიტარატორნი. რამდენად იმოქმედებს ეს შესწავლა გლეხ-კაცობის ცხოვრებისა პოეტურ შემოქმედების განვითარებაზედ, ამის თქმა ახლა, რასაკვირველია, ძნელია, მაგრამ ვგონებთ, საკეთილო შედეგი მოჰყვეს ასეთს შესწავლას, და შესაძლოა, რომ ამ მიმართულებამ აამაღლოს და გააცხოველოს გერმანიის ლიტერატურა, რომელიც ამ ბოლოს ხანს, ცოტა არ იყოს, ყველაფრისკენ ხელს იწვდიდა, ყველაფერს ეტანებოდა და ამიტომ მისი ძალ-ღონე მეტად ხურდავდებოდა.

გერმანიის უფრო შესამჩნევ მწერალთა დახასიათებას შევუდგებით ერთ-ერთს შემდეგს მიმოხილვაში, ხოლო ახლა სამეცნიერო მოღვაწეობას გადავავლოთ თვალი.

ამ მხრივ მიმომხილველს ფრიად სასიამოვნო და სანუგეშო სურათი ეშლება თვალ-წინ. გაუზვიადებლივ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ მუშაობა ყველგან გაჩაღებულია და სამეცნიერო წარმოება ისე გაძლიერდა, როგორც არას დროს არა ყოფილა გაძლიერებული წინად. და თუმცა ასე გაფართოვებულია და მრავალ-ფეროვანი, მაინც გერმანელების აწინდელი სამეცნიერო მოღვაწეობაც ფრიად სისტემატიურია და მტკიცედ ადგია ზედ-მიყოლების წესსა და რიგს.

ყველაზედ მეტად შემუშავებული დარგია ისტორია, ანუ საკუთრად ისტორია კულტურისა, რადგან ახალს საისტორიო სკოლას გერმანიაში უნაყოფო საქმედ მიაჩნია ყოველ გვარი გამოკვლევა წარსულისა, რომელიც დამყარებული არ არის ამა თუ იმ ერის ცხოვრებისა და კულტურის გულ-მოდგინე შესწავლაზედ. ასეთის მიმართულების წყალობით მნიშვნელობა სიტყვისა „ისტორია“ ამ უკანასკნელს დროს სრულიად შეიცვალა. ახლა ისტორია არ უგულებელ-ჰყოფს არც ერთს, პირველ შეხედვით თუნდ სულ მცირე მნიშვნელოვანს მოვლენასა და თავის საგნად მიაჩნია დაწვრილებით განმარტოს და ახსნას, როგორც თან-დათანობითი განვითარება და ზრდა, ისე დაქვეითება და დაბეჩავება ამა თუ იმ ერისა ქონებრივად, პოლიტიკურად, ზნეობრივად და გონებრივად. რაკი ასე გაფართოვდა სამზღვრები საისტორიო კვლევისა, ისტორიის საგანიც დანაწილდა და სხვა და სხვა სპეციალურ საგნის სახე მიიღო; ხოლო ამ სპეციალურ საგნების შესწავლა და შემუშავება შესაძლოა მხოლოდ დახელოვნებულ მკვლევარისა ანუ სპეციალისტისაგან. ამიტომ შეუძლებელია ახლა მსოფლიო ისტორია, დაწერილი ერთის კაცის-მიერ. ამიტომ შლოსერისა, ვებერისა და სხვათა ამისთანა ისტორიკოსთა თხზულებამ დაჰკარგა თითქმის ნახევარი თვისის მნიშვნელობისა. ახალის მსოფლიო ისტორიის შედგენა, განზრახული ლეიპციგში, მინდობილი აქვს სპეციალისტების მთელს ჯგუფს და გვგონია, რომ სწორედ პირველად დაიბეჭდება ახლა ისეთი ისტორია მსოფლიოისი, რომელიც ყოველ-მხრივ რიგიანად და დიდის ცოდნით იქმნება შედგენილი.

კულტურის ისტორიის მხრივ ფრიად საყურადღებო თხზულებაა ამ ჟამად „Kuvturgechichte der Neuzeit“ (ახალ დროთა კულტურის ისტორია). ეს თხზულება დაწერილია ბერლინის უნივერსიტეტის ახალგაზდა პროფესორის კურტ ბრეიზიგის მიერ. ამ დიდს გამოკვლევაში, რომლისაც უკვე ორი ტომი გამოვიდა, ავტორი სცდილობს, დაგვანახვოს გარკვევით ეხლანდელის ევროპიულის კულტურის ყოველნი საფუძველნი, რომელთა ფესვები რომსა და საბერძნეთში მოიპოვება. პროფესორს თავის გამოკვლევაში ჯერ რეფორმაციამდე არ მიუღწევია და უკვე დაბეჭდილს ორს ტომში 1400 გვერდია. ამ თხზულების შინაარსს ერთ-ერთს შემდეგს წერილში დავუბრუნდებით.

ფრიად საყურადღებო ადგილი უჭირავს გერმანიის ლიტერატურაში ახლა აღმოსავლეთის შესწავლას, ანუ უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, აზიის შესწავლას, რადგან ახალნი გამოკვლევანი იაპონიასა და ჩინეთსაც-კი ეხება. ათისა თუ თხუთმეტისა წლის წინად გერმანელებს დიდი მონაწილეობა არა ჰქონდათ აღმოსავლეთის კვლევისა და შესწავლის საქმეში, თუმცა ჯერ ისევ მაშინვე ენასა და ლიტერატურას აზიის ზოგიერთის ქვეყნებისას გულ-მოდგინედ სწავლობდნენ და იკვლევდნენ. ამ 10 წლის განმავლობაში სურათი სრულიად შეიცვალა. ერთის საღმოსავლეთო საზოგადოების ნაცვლად, რომელიც აგერ ნახევარ-საუკუნეა არსებობს, ახლა სამია და სამივე საზოგადოება დიდის ხალისითა და გულ-მოდგინებით მუშაობს. აქ ძნელია ჩამოსთვალოს კაცმა ყველა ის წიგნი, რომელიც დაიბეჭდა ამ უკანასკნელს დროს და რომელიც შეეხება აზიის სხვა-და-სხვა ერთა ისტორიას, ეთნოგრაფიას, ენას, ლიტერატურას და ხელოვნებას, აგრეთვე მათის ქვეყნების აღწერას, რადგან წიგნების რიცხვი ფრიად დიდია. უმეტესი ნაწილი ამ წიგნებისა ოსმალეთის შესახებაა დაწერილი და უმთავრესად მის წარმოებასა და ვაჭრობას იკვლევს, აგრეთვე მის ისტორიას, ეთნოგრაფიას და, ასე გასინჯეთ, პოეზიასაც-კი.

ნაკლების ყურადღებით არ ეკიდებიან გერმანელნი ბიზანტიის შესწავლის სიქმესაც. თუმცა მრავალი ფრიად საფუძვლიანი თხზულება არსებობს შესახებ ბაზანტიისა, მაგრამ ეს ქვეყანა მაინც ჯერ კიდევ კარგად არ არის შესწავლილი. ამ ჟამად ბიზანტიას იკვლევენ და სწავლობენ საფრანგეთსა, რუსეთსა და გერმანიაში. საფრანგეთში სამი კათედრა არსებობს ბიზანტიკისათვის, რუსეთში—ორი (პეტერბურგსა და ოდესაში), ხოლო გერმანიაში რამდენსამე უნივერსიტეტს აქვს კათედრა ბიზანტიის შესახებ ლექციების საკითხავად. ეს ლექციები შეეხება ბიზანტიის ისტორიას, ლიტერატურას, კულტურასა და ხელოვნებას. ბიზანტიის მცოდნეთა შორის პირველია კრუმბახერი, გამომცემელი ჟურნალისა „Byzantinische Zeitschrift“ (ბიზანტიის ჟურნალი- და ავტორი „ბიზანტიის ლიტერატურის ისტორიისა“. ბიზანტიის ასეთს განცხოველებულს შესწავლას შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს საქართველოს ისტორიოგრაფიასაც, რადგანაც კრუმბახერსაცა და სხვებსაც აზრად აქვთ სამზღვარნი თვისთა კვლევათა განზედ გასწიონ და შეისწავლონ ის ქვეყნებიც რომლებზედაც კულტურული გავლენა ჰქონდა ბიზანტიას.

არტურ ლეისტ

რსება. რადგანაც სასწავლებელს არც სახლი ჰქონდა და არც პარტები, კნეინამ თავისს ხარჯით გააკეთებინა და დრობით, სახლის აშენებამდის, კლასისათვის დაუთმო თავისი ზალა, სადაც ბავშვები ამ წლის 29 ივნისამდის სწავლობდნენ. ეხლა-კი სასწავლებელი ახლად აშენებულს ხუთოთახიანს სახლში იმყოფება, მასწავლებლებიც დაენიშნენ, ამ ნაირად გაჩნდა სწავლა ჩვენს დაობლებულს კუთხეში და გაუნათლებელს მტერს თვალები დაუვენა. გულურვებთ ჩვენს ქველმოქმედს კნეინას ხანგრძლივ სიცოცხლეს, რომ კიდევ მრავალ-გზის გვექმნეს ნუგეშად და შემწედ.

სასწავლებელს, გარდა ამისა, შეეძინა შემოწირულებანი: გურია-სამეგრელოს მღვდელთ-მთავარმა შემოსწირა 50 მანეთი, აქაურმა მოსამართლემ 25 მანეთი, ბოქაულმა 25 მან., აზნ. თვალთვალაძემ 25 მან., გამომძიებელმა 5 მან., ნ. დადიანმა შეუდლით ორი მანეთი, აფაქიძემ 1 მან. და სხვა სულ-170 მან. გარდა ამისა, სასწავლებლის დასაარსებლად მამა იოანე კრონშტადტელს ჰქონია გამოგზავნილი 100 მანეთი, რომელიც ამ ბოლოს დროს გამოჩნდა.

მგზავრი.

უცხოეთი

გერმანია. ყოველ წლის დასასრულს ბერლინელ ვაჭართა ფერაინი, ჰამბურგისა, ბრემენისა და სხვა ქალაქის სავაჭრო პალატები ჰბეჭდავენ ანგარიშებს ვაჭრობა-მრეწველობის შესახებ. ასეთი ანგარიშები წელსაც გამოაქვეყნეს. „ყველა ანგარიშს პესიმისტური ხასიათი აქვსო“, გადმოგვცემენ გაზეთები. ბერლინელ ვაჭართა ანგარიშში ნათქვამია, „რომ ყველაფერს სოლარი დაქვეითება დაეტყო: ბაზარი შესუსტდა. ნაწარმოების რაოდენობამ მოთხოვნილებას გადააჭარბა, ფასები დაეცა“ და სხვა. უწინდელმა სიხარულმა და ალტაცებამ ადგილი მწუხარებასა და უიმედობას დაუთმო. სამწუხარო გერმანელთათვის უფრო ის არის, რომ მიზეზნი კრიზისისა, ანგარიშის შემდგენელთა სიტყვით, ჯერაც არ მოსპობილა. უნდა დაუმატოთ ამას გამოურკვევლობა მომავალ სავაჭრო ხელშეკრულებათა შესახებ; ადვილად მიხვდებით გერმანელ ვაჭარ-მრეწველთა სავალალო სულის მდგომარეობას. მომავალი სავაჭრო ხელ-შეკრულობანი დიდად დამაფიქრებელია გერმანელთათვის. არ იციან, ეღირსებიან თუ არა ახალ ხელშეკრულებებს 1903 წელს, როდესაც ძველს ვადა გასდის. თუ ვინიცობაა, შიში გამართლდა და ხელშეკრულებანი არ განახლდა, გერმანიის ინდუსტრიას დიდი განსაცდელი მოელის. სახელმწიფოს გარედ ბაზარი შეუმცირდება, შიგნით კიდევ შეუძლებელია იმ დიდ ძალ ნაწარმოების გასაღება, რომელსაც დღეს გერმანიის ინდუსტრია ამზადებს.

ავსტრო-უნგრეთი. ამ დღეებში დაიწყობა მოლაპარაკება ჩეხთა და გერმანელთა-შორის, რომელთა მორიგებაც ეგრე გულით სწადიან კერბერის სამინისტროს. საქმეში ჩახედულ და შორს მხედველ კაცებს იმედი არა აქვთ, რომ ამ მოლაპარაკებას რამე სასარგებლო პრაქტიკული შედეგი მოჰყვეს. იმათის აზრით, თვით კერბერსაც ნაკლები იმედი აქვს საკეთილო შედეგისა და მოლაპარაკებას იწყობს მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგში, როდესაც არა ჩვეულებრივ ზომების განხორციელებას განიზრახავს, თავის გასამართლებელი საბუთი ჰქონდეს. ჩეხთა საპარლამენტო კომისიას, ხანგრძლივის კამათის შემდეგ, დაუდგენია, დანიშნოს გერმანელებთან განზრახულ კონფერენციის წევრებად ახალ-გაზდა—ჩეხთა დასის დეპუტატნი. კამათის დროს თითქმის ყველას ის აზრი გამოუთქვამს, რომ ამ კონფერენციას სასურველი ნაყოფი ვერ მოჰყვება და ჩეხნი და გერმანელნი ვერ მორიგდებიან. ჩეხელ აგრარიებს დიუდგენიათ, მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღონ მხოლოდ მაშინ, თუ გერმანელთა ყველა დასნი გამოცხადდებიან, და თუ მთავრობა წინდაწინვე გამოარკვევს და გამოაცხადებს,—რა საგანი უნდა განიხილოს კრებამ. ეს უკანასკნელი გარდაწყვეტილება დიდად დამაფიქრებელია მთავრობისათვის: მთავრობას არავითარი გამორკვეული პროგრამა არა აქვს ამ მოლაპარაკებისათვის, იმას იმედი აქვს, რომ გერმანელნი და ჩეხნი თვით კამათის დროს მორიგდებიან და შეთანხმდებიან. ვიმეორებთ: საეჭვო მოლაპარაკებამ რამე ნაყოფი მოიტანოს; ჩეხები ბევრ რასმე დაუთმობენ გერმანელებს, მაგრამ ერთს-კი უეჭველათ მოითხოვენ: ჩეხური ენა ოფიციალურ ენად იქმნას აღიარებული ბოჰემიის საადმინისტრატო დაწესებულებებში. მაგრამ ამ აუცილებელ პირობას გერმანელნი არ მიიღებენ და ამ რიგად კონფერენცია უნაყოფოდ ჩაივლის.

ინგლისი. როგორც უკვე გამოქვეყნებულ სტატისტიკიდგანა სჩანს, შარშანდელმა წელიწადმა ვაჭრობის საქმეში წინა წლებთან შედარებით სანუგეშო ვერაფერი მოუტანა ინგლისს. 1902 წელს ინგლისში $8\frac{1}{2}$ მილიონ მანეთით წინა წელზედ ნაკლები საქონელი შეუტანიათ და 106 მილიონით ნაკლები გაუტანიათ. ზოგიერთი გაზეთი ამის გამო ურჩევს მთავრობას, საქონელზედ შესატანი ბაჟი იქმნას დაწესებული.

— როგორც დურბანიდგან იუწყებიან, ინგლისელნი კაროლინის მახლობლად თავს დასხმიან ბურების ბანაკს. ამ ბანაკში სულ ხუთი მამაკაცი და 150 დედაკაცი ყოფილა. აშკარაა, ბანაკში მყოფნი ინგლისელებთან საბრძოლველად არ ემზადებოდნენ, მაგრამ ინგლისელნი მაინც ისე მოჰქცევიან ბანაკში მყოფთ, როგორც მებრძოლთ. მამაცი ინგლისელნი თურმე უიარაღო დედაკაცებთან ბრძოლასაც არ ერიდებიან.

ბალკანეთი. პოლონურ გაზეთებს ვენიდგან საყურადღებო ამბებს ატყობინებენ ბალკანეთის შესახებ. ამბობენ, შემდეგი ცვლილებანი მოხდება ბალკანეთშიო: 1, ბოსნია და ჰერცოგოვინა საბოლოოდ ავსტრო-უნგრეთს გადაეცემა; 2, ბოლგარია დამოუკიდებელ სახელმწიფოდ იქნება აღიარებული; 3, ბოლგარიის ნავთ-სადგური ბურგასი რუსეთს გადაეცემა; 4, კრიტი საბერძნეთს შეუერთდება; 5, ინგლისს კონტროლის უფლება მიეცემა სომხეთის ნაწილზედ (?); 6, საფრანგეთსაც მიეცემა კონტროლის უფლება კუნძულ როდოსზედ; 7, იტალიას ტრიპოლი დაეთმობა და 8, გერმანიის შეეძლება სპარსეთის ყურეში თავისთვის ნავთ-სადგური აირჩიოს.

წვრილი ამბები

ხმელთა შუა ზღვაში არის ერთი პატარა კუნძული, სახელად სამოსი. კუნძული დამოუკიდებელია. ევროპიელ კაპიტალისტებს განუზრახავთ სტახტო ქალაქი ამ კუნძულისა—ვატი მეორე მონტე-კარლოდ გადააქციონ, კუნძულის მცხოვრებთა საერთო კრებას უკვე გადაუწყვეტია. ხმის უმეტესობით, მისცეს ნება 99 წლის ვადით ბელგიელთა ერთ სინდიკატს, გამართოს ვატში სათამაშო სახლი შემდეგის პირობებით. სინდიკატმა თავის ხარჯით უნდა გაიყვანოს კუნძულზედ რკინის გზები და გზა-ტკეცილები, დაამთავროს ზღვის სანაპირო ადგილების მოწყობა, გამართოს ვატში გასართობი და საერთო ბაღები, აგოს თეატრი და ცირკი, დააწესოს წესიერი მიმოსვლა გემებისა სამოსსა კონსტანტინეპოლს, სალონიკსა, პირეასა და ალექსანდრიას შუა, დაარსოს ვატში სადგილ-მამულო ბანკი და საკომერციო სასწავლებელი, სესხად აძლიოს ფული ადგილობრივ ხაზინას, იმ პირობით-კი, რომ წელიწადში 3%-ზედ მეტი არ აიღოს ხოლმე, გადაუხადოს მთავრობას 100,000 ფრანკი ორის თვის განმავლობაში კონცესიის დამტკიცების დღიდგან და აძლიოს სამოსის მთავრობას ყოველ წლივ 48,000 ოსმალური ლირა. თუმცა ეს პირობანი მეტად სახეიროა და ხელ-საყრელია კუნძულისათვის, მაგრამ მცხოვრებნი მაინც ძლიერ წინააღმდეგი არიან სათამაშო სახლის გამართვისა. ამ ჟამად კუნძულელნი ხელს აწერენ პეტიციას, რომელიც სულთანს უნდა მიართვან და ამასთან სთხოვონ, აკრძალოს სათამაშო სახლის გამართვა.

*
* *

პარიჟში განსაკუთრებული სკოლა დაუარსებიათ ძაღლების აღსაზრდელად. ეს სკოლა გაუმართავს ვიდაც ფილეტს. მდიდარნი პარიჟელნი სიხარულით მიჰგვებიან თურმე ამ ახალ სკოლას და თავიანთი ძაღლები მიუბარებიათ იქ. ბ-ნი ფილეტი თავისს „მოსწავლეებს“ უმთავრესად კარგ „მანერებს“ ასწავლის თურმე. გაზეთები არ გადმოგვცემენ, ეს ახირებული მასწავლებელი რა მეტოდს ჰხმარობს ძაღლების აღზრდა-განვითარების საქმეში.

*
* *

ინგლისელნი დიდ მზადებაში არიან მეფე ედუარდის გვირგვინის კურთხევის დღესასწაულობისათვის. გვირგვინის კურთხევა ამა წლის 26 ივნისს მოხდება. ბევრს მოიგებენ ამ დღესასწაულების დროს სახლის პატრონები, განსაკუთრებით იმ ქუჩებზედ მდებარე სახლების პატრონები, რომლებზედაც პროცესიებმა უნდა გაიარონ: ფანჯრები და აივნები მათ უკვე გაუქირავებიათ. თითო ფანჯარაში რამდენიმე ათას მანეთს იღებენ თურმე.

საბაასო

იაკობ გოგებაშვილის წერილების გამო.

„,მტყუანს ტყუილის კარებამდე უნდა მიჰყვეო“
(ხალხური ანდაზა)

პატივცემული იაკობ გოგებაშვილი თავისას არ იშლის. რა-კი ერთხელ აეშალა წერის საღერღელი, მის წერილებს დასასრული აღარა აქვს. უსათუოდ უნდა თავისი აზრი დაამტკიცოს და გაიყვანოს. არავითარ იარაღს და სახსარს არ ზოგავს. ხან გვაქებს და გვემუდარება, რომ ვიმოქმედოთ ისე, როგორც მას სურს, ხან კი გვიჯავრდება და გვემუქრება, რომ მის აზრს არ ვეთანხმებით. ჩემს უკანასკნელ წერილს („ცნ. ფურცელში“ დაბეჭდილს) ის მაინც ძრიელ გაუჯავრებია და სალანძღავ სიტყვების ხმარებას აღარ ზოგავს ჩემს წინააღმდეგ. ბ-ნი გოგებაშვილი თავის შეცდომას და დანაშაულს კავკავის სკოლის მიმართ კარგად გრძნობს, მაგრამ სამწუხაროთ იმდენი სიმამაცე ვერ გამოიჩინა, რომ თავისი შეცდომები თვითონვე აღიაროს, ამასთან ნათლად ხედავს, რომ მისი ულამაზო საქციელი და როლი გამომჟღავნდა და ამიტომ ის უკანასკნელ წერილებში სიტყვებს ბანზე აგდებს, თანაც გული მოსდის და როგორც გულ მოსული—ლაზათიანად ილანძღება. აგრეთვე ეხება ჩემს მოქმედებას და იქ „პასსივებს“ დაეძებს. ყველაფერი ეს კიდევ უფრო ამტკიცებს მის უსამართლობას.

მე ჩემს ვალდებულებად მიმაჩნია „ივერია“-შიც გავუმეორო ბ-ნ გოგებაშვილს ის, რაც „ცნ. ფურცელში“ დაწვრილებით ავუხსენი. ბ-ნ გოგებაშვილს მე დავუმტკიცე ნათლად და რევიზიის შემდეგ კიდევ უფრო მეტი საბუთები მაქვს, რომ მისი აზრი კავკავის სკოლის დაქვეითების შესახებ მოგონილია და ტენდენციური ხასიათი აქვს, ის, როგორც კეთილი და დიმჯერე ადამიანი მოატყუეს, შეიყვანეს შეცდომაში და იძულებული გახადეს მოქცეულიყო საზოგადო კრებაზე „უხერხულად და საჩოთიროთ“, რომ სკოლის ეხლანდელის ადმინისტრატიული წესის შეცვლა რადიკალურად, როგორც მას სურს, შეუძლებელია და მავნებელია (რეფორმების მომხრე ჩვენც ვართ), რომ მისი სიტყვები იყო დამყარებული ჭორებზე და არა უტყუარ საბუთებზე. ამასთან საჭიროდ მიმაჩნია, „ივერია“-შიც ვურჩიო, რომ დროა დაწყნარდეს, ნულარ ჯიუტობს! რა მოხდა ისეთი, რომ მთელი ქვეყანა უნდა შეანძრიოს. გოგებაშვილიც ცოტა აჩქარდა და შესცდა. აქ შეუძლებელი არაფერი არ არის—რომის პაპი ხომ არ არის, რომ უცოდველობას ჩემობს! არც ის უნდა ეწყინოს, თუ მის ნაწერებში შეცდომები და კურიოზები ვუჩვენო. ეს ასეც უნდა იყოს, რადგანაც ჩემს მხარეზედ არის საქმის და ყოველივე ადგილობრივი გარემოების და ვითარების ყოველ მხრივი ცოდნა და გაცნობა და ბ-ნი გოგებაშვილი-კი, მართალია ჩვენი სახელოვანი პედაგოგია, მაგრამ აღძრული კითხვების შესახებ ბევრ საგანში „პროფანი“ ბრძანდება, მართალია, ის იმოწმებს ორ-სამ „კავკაველს“ და მათ მოხსენებას (ამ პირების სავალალოთ) გაზეთის ფურცლებზე აცხადებს, მაგრამ ვაი ამ მოწმობას. დავარწმუნებ პატივცემულ პედაგოგს, რომ ყველა მის მოწმეებს, როგორც თვითონ მას რუსები რომ იტყვიან *„рыльце въ пуху“*-ში აქვთ გასვრილი აღძრული კითხვების შესახებ. რაც შეეხება საჩივრებს და აქაურის სკოლის მდგომარეობას, ყველაფერი ეს დაწვრილებით გამოიძია ბ-ნმა რევიზორმა და გულ-მოდგინეთ და დაბეჯითებით მოისმინა და შეიტყო ყველაფერი აქაური ვითარება. ხოლო ბ-ნი გოგებაშვილი რევიზორის შეხებაც ულამაზოდ იქცევა. იმან წინდაწინვე მოისურვა გააბათილოს რევიზორის მოხსენება, იმ საბუთით, რომ თურმე რევიზორი, როგორც მწერალი „ცნობის ფურცლის“ თანამშრომელი ყოფილა, სიდაც დაიბეჭდა ჩემი საპასუხო წერილები. იმ დალოცვილს, ცოტა მაინც მოეცადა, ჯერ შეეტყო მაინც, რას გამოთქვამდა ბ-ნი რევიზორი, იქნება მან ყველაფერში გოგებაშვილის აზრი გაიყვანოს? რა სახელი ჰქვია ასეთ ხერხებს, თვითონ ბ-ნმა გოგებაშვილმაც კარგად იცის! მე აღარ მესმის, მაშ რაღას უნდა დავუჯეროთ, თუ რევიზორის მოხსენებას არ დავუჯერებთ! მე იმიტომ მოვითხოვე კატეგორიულად გამგეობისაგან, რომ რევიზორი უსათუოდ გამოეგზავნათ ამ მოკლე ხანში, რომ ახალ გამგეობას ყველაფერი შეეტყო და აღძრული კითხვებიც ამის მიხედვით გადაეწყვიტა. მეც წინდაწინვე აღვუთქვი გამგეობას, რომ მათ ყოველივე გადაწყვეტილებას დავეთანხმები მეთქი, გამგეობამ ჩემი თხოვნა შეასრულა და რევიზიაც მოახდინა. ბ-ნი გოგებაშვილი აქედანვე აცხადებს თავის პროტესტს და სურს, არ დაეთანხმოს რევიზორის მოხსენებას. მაშ რა ვქნათ? რით გავათავოთ ეს დაუსრულებელი პოლემიკა? ღვთის მადლით, ბ-ნი გოგებაშვილი გამოცდილი მწერალია და თან თავისუფალი დროც ბევრი აქვს, მე რასაკვირველია, იმას თავს ვერ გავუსწორებ, მაგრამ პასუხის გაცემა მეც შემიძლია, ნამეტურ ასეთ პირობებში, სადაც სიმართლე ჩემს მხარეზედ არის, მაშ მოვდგეთ და ვწეროთ. ვწეროთ ქაღალდს არ შერცხვება, ყველაფერს დაიტევს. „ცნ. ფურცლის“ რედაქციამ ხომ აკრძალა ამ საგნის შესახებ წერილების წერა. ალბათ, მალე „ივერიასაც“ თავს მოვაბეზრებთ. მაშინ რაღა ვქნათ, ნუ თუ ჟურნალებსა და ბროშიურებს უნდა მივმართოთ? არა, ეს შეუძლებელია. უფრო ხშირად ავტორების წერილი უფრო ამწვავებს საქმეს, ამ მიზეზით შეიძლება სკოლაც განსაცდელში ჩავარდეს... იმდენ აზრებში და სიტყვებში, რაც ბ-ნმა გოგებაშვილმა დაბეჭდა ჩემსა და კავკავის სკოლის წინააღმდეგ—ერთი აზრი მომეწონა, სახელდობრ ისა, რომ თვითონ ბრძანებს: აღძრული კითხვების გადაწყვეტა თვითონ კავკაველებს მივანდოთ და მათი გადაწყვეტილების წინ, ყველამ ქედი უნდა მოვიხაროთო. ძლიერ პატიოსანი! რევიზორმაც ასე შეხედა საქმეს და კავკაველებმაც მის წინაშე თავისი აზრი წარმოსთქვეს. ამ აზრების მიხედვით გადაწყვეტს ყველაფერს წ. კ. ს. გამგეობა, და ამ გადაწყვეტილებას კი, თუ გინდა ეს გადაწყვეტილება ჩვენის თავმოყვარეობისათვის არ იყოს სასიამოვნო, მაინც „უაპპელაციოთ“ უნდა დავმორჩილდეთ.

პართენ გოთუა.

დეპეშა

5 იანვარი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა უმაღლესად დაამტკიცა ტფილისის სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი სტეფანე სუმის ეპისკოპოსად იქმნეს, ხარკოვის ეპარქიის ვიკარათ. სახელმწიფო საბჭომ დაადგინა 1902 წლიდგან ხუთის წლის განმავლობაში ოთხ-ოთხი ათასი მანეთი ეძლიოთ წლიურად იმ შრომათა გამოსაცემად, რომელსაც სინოდის არხივის ამწერელი კომისია სცნობს საჭიროდა.

ბერლინი. გერმანიის საიმპერიო ბანკმა დისკონტი 4-დგან $3\frac{1}{2}\%$ დასწია.

ცარიცინი ვოლგა გაიყინა.

ნიჟნი-ნოვგოროდი. ვოლგისა და ტვერის ნავოსნობამ მოქმედება შესწყვიტა.

სევასტოპოლი. ადგილობრივს საურთიერთო კრედიტის საზოგადოებაში 71,000 მან. აღმოჩნდა დახარჯული.

ვარშავა. 1900 წ. ვენის რკინის გზაზედ მომხდარ უბედურების საქმის გარჩევა 11 იანვარს არის დანიშნული ოლქის სასამართლოში. გერმანიის საწინააღმდეგოდ აღძრულ აგიტაციისა გამო გალიციელმა მეფაბრიკეებმა გარდასწყვიტეს გერმანიის ნახშირისა ნაცვლად ამიერიდგან ჩვენი ნახშირი იხმარონ, დომბრის მაღაროებისას. განსვენებულმა ბლიოხმა ვარშაველებისასთვის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტში სტიპენდიები დააწესა.

პარიჟი. პალატა. კანეო ორნანო კითხულობს, რა მიზეზია, რომ ოფიცრების დანიშნის შესახებ არსებული დადგენილებანი დარღვეულ იქმნენ და ამიერიდგან პოლიტიკურ მოსაზრებით უნდა იხელმძღვანელონო. ანდრე კაბინეტს იცავს. პალატამ შეიწყნარა მორიგ საქმეებზედ გადასვლის ფორმულა, რომელიც მთავრობის მოქმედებას იწონებდა.

პარიჟი. დიდი საეკონომო გამოცემანი რუსეთის ფინანსთა მინისტრის უქვეშევრდომილეს მოხსენების შესახებ კარგის აზრისანნი არიან.

ბაქო. ნავთის მრეწველთა კრებამ ბიბიეიბათის სახაზინო მიწების მეიჯარადრეთა შუამდგომლობა ფუთეულ გარდასახადის წილადეულით შეცვლის (**долевымъ отчисленіемъ**) შესახებ შესაწყნარებლად სცნო.

მოსკოვი. ელექტრო-ტეხნიკოსთა კრება 5 იანვარს დაიხურა. შემდეგი კრება პეტერბურგში მოხდება.

6 იანვარი.

პეტერბურგი. „Правит. Вѣстн.“-ში დაბეჭდილია: „8 მარტის 1898 წ. კურსკში, ზნამენსკი მონასტრის ტაძარში, ააფეთქეს ქვისა და ხის კიბე, ღვთის მშობლის სასწაულთმოქმედ ხატის წინ. გამოძიებამ აღმოაჩინა რომ აფეთქება ბოროტის განზრახვით ჩაუდენიათ. ამ საქმისა გამო 1901 წ. შემოდგომაზედ შეპყრობილ იქმნენ: ანატოლ იაგორის ძე უფიმცევი 20 წლისა, ლეონიდე ვლადიმირის ძე კიშკინი 21 წლისა, ვასილი ევგრაფის ძე კამენევი 22 წლისა და ანატოლი ნიკოლ ლატუგინი 21 წლისა. ოთხივენი გამოტყდნენ, რომ დანაშაულობა, ამათ ჩაიდინეს. ჩვენებამ გამოარკვია, რომ დანაშაულობა ჩაუდენიათ უფიმცევს წინადადებით სარწმუნოების შესარყევად. როდესაც ასაფეთქებელი საშუალება მოუმზადებიათ, უფიმცევსა და კიშკინს ლატუგინთან ერთად მიუტანიათ 7 მარტს საღამოთი და ღვთის მშობლის ხატ წინ დაუდვიათ ფრთხილად, ბამბაში გახვეული. როგორც ბოროტმოქმედთ ჰქონიათ გამოანგარიშებული, აფეთქება ღამის ორის ნახევარზედ თურმე უნდა მომხდარიყო, როდესაც ეკკლესიაში ღვთის მსახურება არ იქმნებოდა. გამოძიებამ ჩვენება დამნაშავეთა სრულად დაამტკიცა. ხელმწიფე იმპერატორმა 26 დეკემბერს 1901 წელს ჰბრძანა, დამნაშავენი პოლიციის მფარველობის ქვეშ გაგზავნილ იქმნენ: უფიმცევი აკმოლინის ოლქში ხუთის წლით, ხოლო კიშკინი, კამენევი და ლატუგინი აღმოსავლეთ ციმბირში, პირველი ხუთის წლით, დანარჩენი ორი სამის წლით.

სოფია. საერო კრებაში არჩევანი 18 თებერვალს მოხდება. კაბინეტს გარდაუწყვეტია, საარჩევნო ბრძოლაში მონაწილეობა მიიღოს, მაგრამ ცანკოვისტებთან კავშირი არ იქონიოს.

რომი. რუსეთის მინისტრ-პრეზიდენტის პირველს სადილს დაესწრებიან კარდინალები რამპოლა და მატე, ვატიკანის წინაშე მყოფი საფრანგეთის ელჩი, რომის არისტოკრატიის წარმომადგენელნი და წევრნი რუსეთის ახალშენისა.

ლონდონი. კრაუზეს ორის წლით დაპატიმრება გარდაუწყვიტეს. გარდაიცვალა პარლამენტის წევრი ანცელ ბარტელდი.

კონსტანტინოპოლი. ბაღდადის რკინის გზის კონცესია 99 წლით იქმნა მიცემული. იგივე ვადაა დანიშნული გაიდარ-ფაშა-ანგირას კონცესიისათვის. გზა დაიწყება კონიაში, გაივლის ბაღდადზედ და მივა სპარსეთის ყურეში. სპარსეთის ყურესა და კონსტანტინოპოლს შუა ლიანდაგის შესასწორებლად მთავრობა 30 წლის განმავლობაში ყოველწლივ 350,000 ფრანკს მისცემს საზოგადოებასა და ამის გარდა 350,000 ფრანკს კიდევ სხვას მოჰარბებულ ხარჯების დასაფარავად. ბაღდადის რკინის გზა სიგრძით სულ 2,500 კილომეტრი იქნება.

იანვარი 7.

პეტერბურგი. 6 იანვარს, მათ უდიდებულესობათა თანადასწრებით საზამთრო სასახლის დარბაზებში და ნევის სანაპირო ქუჩაზე მოჰხდა სანათლისღებო პარადი.

ვარშავა. ვარშავის ქალაქის ვაჭართა საზოგადო კრებაზედ დადგენილ იქმნა, რაც შეიძლება მეტად შევამციროთ ვაჭრობა გერმანისთანაო.

კონსტანტინეპოლი. აუდიენციის დროს ზინოვიევმა წარუდგინა ხონთქარს კამერპერი თავადი სანგუშკო, რომელსაც ხონთქარმა უბოძა ლენტი მეჯიდიეს ორდენისა.

ბარცელონა. ორთქლის ქვაბის აფეთქების დროს საქსოვ ქარხანაში მონრებს ახლომოკლულ იქმნა 60 და დაჭრილ 100 კაცი.

მოსკოვი. მკურნალთა პიროგოვის კრებამ წესდებისა მომავალ კრებამდე გადასდო. კომიტეტი კრებათა გადადის ყაზანიდგან მოსკოვს; მისი განყოფილებანი გადასწყდა დატოვებულ იქმნას ყაზანსა, ოდესსა და ტომსკში.

სასოფლო-სამეურნეო განათლების მოღვაწეთა კრებამ გადასწყვიტა, რომ სასურველია მომატებულ იქმნას რიცხვი ზედამხედველთა სამეურნეო სასწავლებლებში, უფრო განათლების პატრონები დაინიშნონ ხოლმე ამ თანამდებობაზედ, მოემატოთ ჯამაგირი და მიეცეთ ხმა სასწავლებლების საბჭოებშიო.

პარიჟი. „Temps-ში“ ამბობს, რომ უქვეშევრდომილესი მოხსენება ფინანსთა მინისტრის ვიტტესი 1902 წლის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის შესახებ ფრიად სანუგეშოა ქვეყნის ფინანსებისათვის.

„Journal des Debats“-ას მოჰყავს თარგმანი კანონისა საქციერო საზოგადოებათა შესახებ, აღნიშნავს მის დიდს მნიშვნელობას და ამბობს, რომ იგი კანონი თავმდებია აქციონერთა უკეთესის წარმომადგენლობისათ. ეგ კანონი შეძლებას მისცემს საკრედიტო დაწესებულებათა ამა თუ იმ გამგეობას, არ ჩაუვარდეს ხელში რომელსამე სამრეწველო საზოგადოებას და იმისი ცემა არ გახდეს.

ივერიის ფოსტა

არ დაიბეჭდება: „სოფელი საპიროებს წვრილ სესხს“ ს. საქაშნელისა, „ლოცვა“ წ. სევდიშვილისა, „დაგვიანებული პასუხი ბ-ნს ყუმისთაველს“—ი. რ—სა, „ღვინოს დავლევ“. ლექსი ნ. ს—სა, „მეფარნე“, ამბავი დუშელ ვანოსი, „ერთი ოხუნჯობის გამო“, დ. მ—სა, „სცენა გურიიდგან“, ნ. ს—სა, „სიზმარი“, ვ. რ—ძისა.

რედაქცია ერთხელ კიდევ აუწყებს ბ.ბ. კორესპონდენტებს, რომ იგი წინადვე, არ აცნობებს თუ არ ინახავს ავტორთათვის დასაბრუნებლად იმ წერილებსა და ლექსებს რომელთაც რამე მიზეზისა გამო გაზეთში ვერ დაბეჭდავს, და არც არავითარ მიწერ-მოწერას ავტორებთან არა ჰკისრულობს..

პეტერბურგის ბირჟა, 4 იანვარს.

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონში 10 გირ. სტ.	93,80
ბერლინში 100 მარკაში	—
პარიჟში 100 ფრანკში	—
ლონდონში ჩეკები	94,55
ბერლინში „	46,20
პარიჟში „	37,65
ბირჟის დისკონტი	$5\frac{1}{2}$—7%
4% სახელმწიფო რენტა	$96\frac{1}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% შინაგანი სესხი 1893 წ.	—
4% გირავნ ფურც. სახელ. საადგ. მამულთა ბანკისა	
5% 1-ლი შინგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	474 გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	$374\frac{3}{4}$ გაყიდ.
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა.	258 გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% გირავ. ფურც. იმავე ბანკისა	
5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ.	$87\frac{1}{8}$ გაყიდ.
$4\frac{1}{2}$% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	
5% ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ.	$88\frac{5}{8}$ გასყ.
$4\frac{1}{2}$% გირავნობ. ფურც. იმავე ბანკისა.	$82\frac{1}{2}$ მსყიდ.
6% ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის გირ. ფურცლ.	—
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა	—
პაები ძმ. ნობელის სანავთო მრეწვ.	
აქციები „	$457\frac{1}{2}$ წვრ. გაყიდ.
„ კასპიის ამხანაგობისა.	3900 წვრ. გაყიდ.
„ ბაქოს ნავთის საზოგად.	310 წვრ. გაყ.
„ ა ი. მანთაშევისა და ამხ.	146 ›
ნავთის სამრეწვ. საზოგად.	—

ყოველ-დღიური საჭირო ცნობები:

კავკასიის რკინის გზის მატარებლების მიმოსვლა 15 ოქტომბრიდგან 1901 წლისა (ფრჩხილებში ჩასმული ციფრები ტფილისის საათით უჩვენებენ დროს, ფრჩხილებს გარეთ—პეტერბურგის საათით).

მატარებელი მიდის **ტფილისიდგან ბათუმში:**

ფოსტის მატარებელი № 3 საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.) ბათუმში ჩავა დილის 8 ს. 33 წ. (9 ს 26 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 5 დილის 9 ს. 30 წ. (10 ს. 28 წ.), ბათუმში ჩავა საღამოს 9 ს. 28 წ. (10 ს. 26 წ.).

ტფილისიდგან ბორჯომში:

სამგზავრო მატარებელი № 67 დღის 1 ს. 44 წ. 2) ს 42 წ.), ბორჯომში ჩადის საღამოს 6 ს. 40 წ. 7) ს. 38 წ.)

ტფილისიდან ბაქოში:

სწრაფი მატარებელი № 2 კვირაში ერთხელ, პარასკევობით, დღის 2 ს. 32 წ. (3 ს. 30 წ.), ბაქოში ჩადის ღამის 3 ს. 58 წ. (4 ს. 50 წ.).

ფოსტის მატარებელი № 4 დილის 11 ს. 47 წ. (12 ს. 45 წ.), ბაქოში ჩადის დილის 6 ს. 33 წ. (7 ს. 31 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 საღამო 9 ს. 36 წ. (10 ს. 34 წ.), ბაქოში ჩადის დღის 2 ს. 12 წ. (3 ს. 10 წ.)

ტფილისიდგან ყარსში:

ფოსტის მატარებელი № 58, 59 საღამოს 10 ს. (10 ს. 58 წ.) ყარსში ჩადის დღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.).

ბათუმიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 4 ღამის 10 ს. 10 წ. 11 ს. 8 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 10 ს. 45 წ. (11 ს. 43 წ.).

სამგზავრო მატარებელი № 6 დილის 8 ს. 58 წ. (9 ს. 56 წ.) ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 33 წ. (9 ს. 31 წ.).

ბაქოდგან ტფილისში:

სწრაფი მატარებელი № 1 ხუთშაბათობით ღამის 10 ს. 41 წ. (11 ს 39 წ.) ტფილისში ჩამოდის დღის 12 ს. 47 წ. (1 ს. 45 წ.).

ფოსტის მატარებელი № 3 ღამის 12 ს. 2 წ. (1 ს.) ტფილისში მოდის, საღამოს 6 ს. 24 წ. (7 ს. 22 წ.)

სამგზავრო მატარებელი № 5 დღის 3 ს. 35 წ. (4 ს. 33 წ.) ტფილისში მოდის დილის 8 ს. 50 წ (9 ს. 48 წ.).

ბორჯომიდგან ტფილისში:

სამგზავრო მატარებელი № 66 ღამის 1 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.).

ყარსიდგან ტფილისში:

ფოსტის მატარებელი № 60—61 დილის 5 ს. 12 წ. (5 ს. 10 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 6 ს. 47 წ. [7 ს. 45 წ.).

განცხადებანი

ტფილისის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ 8 იანვარს 1902 წელს, შუადღის 12 საათისათვის **დანიშნულია საჯარო ვაჭრობა** ქალაქის დაწესებულებათა, ადგილობრივ ცეცხლის მქრობელ რაზმისა და ტფილისის საკომენდანტო გამგეობისათვის საჭირო შეშის წარმოსადგენად. საჭიროა სულ 327 ოთხკუთხი საჟენი.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, შეუძლიან პირობანი გასინჯოს გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ნაშუადღევის 3 საათამდე.

(2—6.—2)

ტფილისის ქალაქის გამგეობა აცხადებს საყოველთაოდ, რომ გამგეობის თანადასწრებით 1902 წელს, 8 იანვარს, ნაშუადღევის 1 საათზედ მოხდება საჯარო ვაჭრობა, და იჯარით გაიცემა მიწის ნაჭერი ზომით 726, 3 ოთხკუთხი საჟენი, რომელიც მდებარეობს ტფილისის საბაჟოს პირდაპირ, სადაც დღეს მოთავსებულია ხე-ტყის საწყობი ფრანც ამირალოვისა.

პირობების გასინჯვა შეიძლება გამგეობის მე-4 განყოფილებაში ყოველ დღე, კვირა-უქმეს გარდა, დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე.

(3— 6.—3)

ПАРОВАЯ РИСООЧИСТИТЕЛЬНАЯ МЕЛЬНИЦА

„ВОСТОКЪ" въ Баку

Принимаетъ заказы на рисъ всѣхъ сортовъ. Преисъ-куранты и образцы высылаются безплатно.

(10—261—5)

მკურნალი
ნ. ტ. მულინი.

იღებს ყურითა, ყელითა და ცხვირით ავადმყოფებს ყოველ-დღე ნაშუადღევის 1—3 საათამდე და საღამოს 4—8-მდე. სუდებნ 17. (წლ.)

როიალები



პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლორნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გარდახდით.

პრეისკურანტები

მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საკრავებისა

ბ. მ. მირიმანიანისა.

музыкальное депо
М. МИРИМАНЯНА
Тифлисъ. Дворцовая ул.

25—6—10

მიიღება ხელის-მოწერა 1902 წლისათვის ორ კვირეულ გამოცემათა ქართულ

„მწყემს"-ზე

და **რუსულ** ПАСТЫРЬ-ზე

ჟურნალის ფასი:

12 თვით „მწყემსი" 3 მ.
— „ რუსული „ 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 5 „

6 თვით „მწყემსი" 2 მ.
— „ რუსული „ 2 „
— „ორივე გამოცემა 3 „

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება დაბა **ყვირილაში** რედაქციაში, **ქუთაისში** ბ-ნ ესტატე ლამბაშიძესთან, **თფილისში** წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, ბ. შიო ქურხულაშვილთან. **ფოთში**—დეკანოზ მ. გრიგოლ მაჭარავთან; **ახალსენაკში**—ბლალოჩინ მამა არისტარქ კალანდარიშვილთან.

სოფლის მასწავლებელთ და ღარიბთ გაზეთები დაეთმობათ მთელის წლით ორივე გამოცემა **სამ მანეთად**.

რედაქცია იმყოფება **დ. ყვირილაში** რედაქტორის საკუთარ სახლებში.

გარეშე მცხოვრებთ ჟურნალის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით: **Въ Квирилы, въ редакцію газеты и журнала „МЦКЕМСИ" и „ПАСТЫРЬ".**

რედაქციაში მოიპოება წარსული წლების რამდენიმე სრული გამოცემანი „მწყემსი"-სა, რომელნიც ნახევარ ფასად დაეთმობათ მსურველთ.

რედაქციაში მოიპოება აგრეთვე სხვა-და-სხვა სასულიერო შინაარსის გამოცემანი, რომელთა კათალოგი დრო-გამოშვებით ჟურნალშიდაც იბეჭდება და მსურველთაც შეიძლება, დაიბარონ რედაქციიდგან.

სამოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო

ნახატებიანი გაზეთი

„კვალი"

(წელიწადი მეათე)

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში" დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურად ღირს თფილისში 7 მან., თფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით თფილისში 3 მ. 50 კ., თფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან. თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა თფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიანთ წლის ფული ნაწილათ შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება: თფილისში, წერა-კითხვის საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველი კლასის ბუფეტში ესტ. ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის" რედაქციაში, თეატრის ქუჩა, № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლალიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალსენაკში კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში; ჭიათურაში კალისტრატე ჭიჭინაძესთან და გერასიმე ბერიძესთან; ყვირილაში ივანე არდიშვილთან. დაბა ხონში—სახალხო სამკითხველოში. ძველ-სენაკში—არსენ წითლიძესთან. ოზურგეთში—დომენტი შავიშვილთან. საჩხერეში—დიმიტრი მელაძესთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція ,,КВАЛИ".

საყმაწვილო ნახატებიანი

ჟურნალი

„ჯეჯილი"

წელიწადი მეცამეტე

გამოვა 1902 წელსაც თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

ჟურნალი „ჯეჯილი" მიღებულია თბილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების სამკითხველოებში საკითხავათ.

ჟურნალი „ჯეჯილი" თბილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილისს გარეშე გაგზავნით 5 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოთ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) **ტფილისში**—„წერა-კითხვის გამ. საზოგადოების" კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Груз Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი"-ს რედაქციაში (Артилер. ул., № 5, возлѣ Кадетскаго корпуса).

ფოსტის ადრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили".*

Главная контора газ. „Россія", С.-Пб. Невскій просп. 84---86.

Открыта подписка на 1902 годъ

(четвертый годъ изданія)

на ежедневную политическую и литературную газету

„РОССІЯ"

Два раза въ недѣлю номера ,,РОССІИ" выходятъ съ иллюстраціями.

Въ числѣ многихъ сотрудниковъ въ 1901 году помѣщали свои статьи слѣдующія лица: Проф. Алексѣевъ, Амфитеатровъ А. В. (Old Gentleman), проф. Бороздинъ, акад. Бредихинъ Ѳ. А., Бирюковичъ В. В., Баскинъ П. П.. Будищевъ А. Н., Быковъ П. В., проф. Введенскій Ал. И., Головинъ К. Ф., Гославскій Е. П., проф. Грибовскій В. М., Гурьевъ А. Н., Гофштетеръ И. А., проф. Долбня, Добролюбовъ В. А., Дорошевичъ В. М., Дурново И. С., Духовецкій Ѳ. А., Караваевъ Н., проф. Латкинъ, Линевъ Д. А. Лохтинъ В. М., Майковъ А. А., проф. Мандельштамъ, проф Менделѣевъ Д. И., Матовъ С., Мятлевъ В., проф. Мигулинъ, проф. Марковниковъ, Немировичъ-Данченко Вас. И., проф. Никоновъ С. П., Новиковъ А. И., Носиловъ К., Навроцкій А. А., Обонкескій Л. Е., Пановъ Н. А., проф. Петражицкій, проф. Подвысоцкій, Потапенко И. Н., проф. Покровскій, проф. Пассекъ, Петровъ М. П., проф. Рѣпинъ, проф. Сикорскій, проф. Свѣшниковъ, проф. Романовичъ-Славатинскій, проф. Трубецкой, Уральскій Н.. Фаресовъ А. И., проф. Фауссекъ, проф. Флоримскій, проф. Филипповъ; проф. Щегловъ, Яковлевъ И. **Собственные корреспонденты** во всѣхъ важнѣйшихъ городахъ Европы (въ Парижѣ И. Яковлевъ, въ Лондонѣ Ѳ. Духовецкій) и повсемѣстно въ Россіи.

Отдѣломъ «провинція» (бесѣды ДАЛИНА, обзоръ провинціальной печати, корреспонденціи, письма и провинціальный дневникъ) завѣдуетъ ДАЛИНЪ (Д. А. Линевъ).

Постоянные фельетоны: Old Gentleman'a, Дорошевича В. М., Немировича-Данченко Вас. И., Фингала. Заграничный фельетонъ И. Яковлева (И. Я. Павловскаго).

Редакторъ-издатель Г. П. САЗОНОВЪ.

УСЛОВІЯ ПОДПИСКИ

	Безъ доставки.	Съ доставк. по городской почтѣ.	Съ пересылкой въ Россію.	Съ пересылкой за границу.
На годъ	10 р. — к.	11 р. — к.	12 р. — к.	24 р. — к.
„ 11 мѣс.	9 р. 20 к.	10 р. 15 к.	11 р. 10 к.	22 р. 20 к.
„ 10 „	8 р. 50 к.	9 р. 25 к.	10 р. 20 к.	20 р. 40 к.
„ 9 „	7 р. 70 к.	8 р. 40 к.	9 р. 30 к.	18 р. 60 к.
„ 8 „	6 р. 90 к.	7 р. 50 к.	8 р. 40 к.	16 р. 80 к.
„ 7 „	6 р. 15 к.	6 р. 60 к.	7 р. 50 к.	15 р. -- к.

	Безъ доставки.	Съ доставки. по городской почтѣ.	Съ пересылкой въ Россію.	Съ пересылкой за франицу.
На 6 мѣс.	5 р. 50 к.	6 р. — к.	6 р. 60 к.	13 р. 20 к.
„ 5 „	4 р. 60 к.	5 р. 30 к.	5 р. 70 к.	11 р. 40 к.
„ 4 „	3 р. 80 к.	4 р. 50 к.	4 р. 80 к.	9 р. 60 к.
„ 3 „	2 р. 90 к.	3 р. 50 к.	3 р. 90 к.	7 р. 80 к.
„ 2 „	2 р. — к.	2 р. 40 к.	3 р. — к.	6 р. — к.
„ 1 „	1 р. — к.	1 р. 25 к.	1 р. 60 к.	3 р. 20 к.

Подписываться можно на всѣ сроки, но не иначе, какъ съ перваго числа каждао мѣсяца.

3—1.

1 Р. 15 коп. три мѣс.

БОЛЬШАЯ

Ежедкевная газета и четыре иллюстр. журнала.

1 Р. 15 коп. три мѣс.

Второе изданіе

„Биржевыхъ Вѣдомостей" и

Самостоятельный своихъ въ сужденіяхъ, чуждый тенденціознаго извращенія фактовъ, безусловно независимый органъ печати, ярко освѣщая всѣ явленія общественной жизни, имѣя огромную сѣть корреспондентовъ, эта газета при всей своей твердости и неуклонности, справедливая и безпристастная уже много лѣтъ является, несомнѣнно, наиболѣе полнымъ выразителемъ нуждъ провинціи.

Главные отдѣлы газеты, а въ особенности передовой, политическій, съ театра военныхъ дѣйствій, столичной и провинціальной общественной жизни. СЪ ЕЖДНЕВНЫМИ ИЛЛЮСТРАЦІЯМИ телеграммъ, корреспонденціи и пр.,—по своей полнотѣ и свѣжести совершенно отвѣчаютъ подобнымъ же отдѣламъ другихъ большихъ столичныхъ газетъ; въ ней нѣтъ ненужныхъ, несвязанныхъ, случайныхъ замѣтокъ, а ихъ замѣняетъ ЖИВОЕ СЛОВО.

еженедѣльные журналы

2) „Огонекъ"

и двухнедѣльные журналы

3) „Здравіе семьи",

4 „Общедоступныя моды"

Въ предстоящемъ годи будутъ напечатаны:

„Русская темень", большой бытовой романъ *Вас. Ив. Немировича-Данченко.*

„Петровскіе дни", историческій романъ въ двухъ частяхъ изъ эпохи Императрицы Екатерины Великой, *гр. Е. А. Саліаса.*

„Прерванный сонъ" большой бытовой романъ *Г. Г. Ясинскаго.* (*Максима Бѣлинскаго*)

6 повѣстей и разсказовъ, ПРЕМИРОВАННЫХЪ на литературномъ конкурсѣ и мн. др.

Главная контора «Биржевыхъ Вѣдомостей». С.-Петербургъ, Мѣщанская, 25.

Подписная цѣна второго изданія »Биржевыхъ Вѣдомостей", вмѣстѣ съ журналами и съ пересылкою: на годъ—4 руб. 60 коп., на *6* мѣсяцевъ—2 руб. 30 коп., на 3 мѣсяца—1 руб. 15 коп., на 1 мѣсяцъ—40 к.

Почтовыя и гербовыя марки въ уплату не принимаются.

Въ 1901 году болѣе 100,000 подписчиковъ.

(3—2).

მიიღება ხელის-მოწერა **1902** წლისათვის

„მოამბე"-ცნობის ფურცელ"-ზე

სურათებიანი დამატებით.

ყოველ თვიური ჟურნალი

„მოამბე"

(წელიწადი მეცხრე)

ფასი ჟურნალისა გაგზავნით.

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	10 მ.	1 წლით	13 მ.
6 თვით	6 „	6 თვით	7 „
3 „	3 „	3 „	5 „

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის ფურცელი"

(წელიწადი მეშვიდე)

ფასი გაზეთისა გაგზავნით:

კავკასიაში და რუსეთში:		საზღვარ გარეთ:	
1 წლით	6 მ.	1 წლით	11 მ.-კ.
6 თვით	4 „	6 თვე	6 „50„
1 „	75 „	1 „	1 „10„

ვინც „მოამბე"-ს მთელის წლით გამოიწერს, „ცნობის ფურცელი" უფასოდ გაეგზავნება, მხოლოდ ქალაქ გარედ გასაგზავნ ფოსტის ხარჯისათვის უნდა დაუმატოს ერთი მანეთი, რომელიც ხელის მოწერისათანავე უნდა იქმნეს შემოტანილი.

სურათებიანი დამატება

გაეგზავნება მხოლოდ ორივე გამოცემაზედ ხელის მომწერთ.

წლიური ფასის განაწილება სამივე გამოცემაზე: პირველად—6 მან., 1-ლ მარტამდე—3 მან., 1-ლ აგვისტომდე—2 მან.

განცხადების ფასი: 1-ლ გვერდზე სტრიქონი—10 კაპ., მე-4-ზე—5 კაპ. თუ განცხადება 3-ჯერზე მეტად და იბეჭდება, მაშინ დაბეჭდვა ნაკლები ღირება.

რედაქცია და კანტორა იმყოფება განქის დიდ ქუჩაზე. ტელეფონი № 372.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Моамбе" и „Цнобисъ Пурцели,"

Дозвол. цензурою. Тифлисъ 7-го Января 1902 г. გაზეთ ,,ტფილისის ფურცლისა,, და ე. ქ. ხელაძის სტამბა ლორ.-მელ. ქუჩა. დროებითი რედაქტორი ა. სარაჯიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე